# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი. 2022 წ. №166 (9504) ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი








## დღეს უფრო ჭკუით, ქართველებო!

მთელი შეგნებული ცხოვრება რუსეთის იმპერიასთან ომში გავატარეთ და იმ დროიდან პარტნიორად შეგულებული ქვეყნის წარმომადგენლები ჩვენ სამართლიან კითხვებს და თუნდაც პრეტენზიებს, უაპელაციოდ და უსინდისოდ, რუსეთის სამსახურად რომ გვითვლიან... ამაზე მეტ შეურაცხყოფას ვერც მოიფიქრებ...

იხ. 3 გვ.

## რა სურს ამერიკას?!.

## პაატა ნაცვლიშვილი პაატა ნაცვლიშვილი





როგორც ასეთი როგორც ისეთი

## საგაზეთო ბენეფისი პაატა ნაცვლიშვილისა

ჭეშმარიტად ასეა, პაატა ნაცვლიშვილი ჭკვიანიც არის და „გიჟიც“, ძალიან ჭკვიანიც და ძალიან „შერეკილიც“... ჩვეულებრივი ადამიანი ვერაფრით გახდებოდა ასე ხელხვავიანი პოეტი და პროზაიკოსი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, გამომცემელი და რედაქტორი, მეცნიერი და კრიტიკოსი, მოხეტიალე მოგზაური და უცხოეთში ქართველ მამულიშვილთა ნაღვაწის წარმომჩენი...

პაატა ნაცვლიშვილი ჟურნალიფსიტობიდან ჟურნალომოგამდე ისე ამაღლდა, როგორც რიგითი რეპორტიორი ერნესტ ჰემინგუეი ნობელის პრემიის ლაურეატობამდე.

ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში ვერცერთმა კალმოსანმა ვერ შეძლო, დამოუკიდებელი ჯორჯიის ოლიმპიური მოძრაობის დაფუძნების ერთ-ერთი თაოსანი ყოფილიყო და მართლაც ხელიხელსაგოგმანები ოთხტომეული – „ხუთი რგოლი საქართველოსთვის“ გამოეცა. მის დაარსებულ, დიზაინით და კონცეფციით შექმნილ გაზეთებს, ჟურნალებს და სტუდენტურ კრებულებს ვინ მოთვლის...

პაატა ნაცვლიშვილი კარგა ხანია ჩვენი ჟურნალისტური თაობების ლიდერია!

როგორ არ ვიამაყოთ, ასეთი სუპერგონიერი, სულით ღონიერი და კაცური თანადგომით მადლცხებული მეგობარი რომ გვყავს!

გულს სიხარული აცოცხლებს, ჟურნალომო პაატა, გუშინ, დღეს, ხვალ შენი მოჭირნახულებული ოქტომბერი დგას. 70 წელი მართლაც ძალიან ცოტა ყოფილა... ჯერ კიდევ ძალიან ბევრს ველით შენგან, რადგანაც შენ ხარ რიგითი ქართველი, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო თავისი სანუკვარი ერის სულიერებას...

ძვირფასო მკითხველო, წაიკითხეთ ჩვენი სახელოვანი, კიდევ ერთი საამაყო საერთაშორისო ჟურნალისტის ნუგზარ რუხაძის წერილი და დარწმუნდებით, რომ პაატა ნაცვლიშვილი, ეს რიგითი ქართველი, ნამდვილი ფენომენია... არაჩვეულებრივი მოვლენაა!

სპარტაკ ქობულია.

## რიში სუნაკი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრია



**რიში სუნაკი დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი გახდა, – ამის შესახებ BBC წერს.**

გამოცემის ინფორმაციით, **სუნაკი ბუკინგემის სასახლეში მეფე ჩარლზ მესამეს შეხვდა და მისგან მთავრობის ფორმირების მანდატი მიიღო. პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის წინ გამართულ ბრიფინგზე სუნაკმა განაცხადა, რომ ქვეყანა ეკონომიკური კრიზის წინაშე დგას, მაგრამ ის თავისი წინამორბედის შეცდომებს გამოასწორებს და ხალხის ინტერესებს პოლიტიკაზე მაღლა დააყენებს.**

**42 წლის სუნაკი თანამედროვე ისტორიაში ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი გახდა. მისმა წინამორბედმა, ლიზ ტრასმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ 20 ოქტომბერს განაცხადა. ის მთავრობის მეთაურად მხოლოდ 45 დღის განმავლობაში მუშაობდა, რაც ყველაზე მოკლე პერიოდია თანამედროვე ბრიტანეთის ისტორიაში.**

## ჩვენი პრემიერი რიში სუნაკს ულოცავს!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რიში სუნაკს გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას ულოცავს.** როგორც მთავრობის მეთაური „ტვიტერში“ წერს, საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული ურთიერთობები ბოლო წლებში ისტორიულ მაქსიმუმზე ავიდა.

**„ბატონ რიში სუნაკს ვულოცავ გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას. ჩვენ ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები ისტორიულ მაქსიმუმზე ავიდა ბოლო წლებში.**

**ჩემ ბრიტანელ კოლეგას ვუსურვებ წარმატებებს და მოუთმენლად ველი თანამშრომლობას საერთო ინტერესების ყველა შესაძლო სფეროში“...**

## ნუგზარ ბ. რუხაძე:

## ქართველი, რომელმაც წარუშლელი კვალი გაავლო თავისი სანუკვარი ერის სულიერებას!

იხ. 6-7 გვ.

კვირას, 30 ოქტომბერს, 16 საათზე, ქართული ლიტერატურის მუზეუმში (ჭანტურიას ქ. №8) გაიხსნება პაატა ნაცვლიშვილის პოლიგრაფიკული ნამუშევრების რეტროსპექტიული გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მისი გამოცემები, პოლიგრაფიული დიზაინის ნიმუშები, გრაფიკული ნამუშევრები, ვიზუალური ლექსები და ბევრი სხვა რამ...





## სოსო თოფურიძის სენსაციური, სატირულ-იუმორისტული მონაჩმახი საკუთარ თავსა და ნაციონალ მანქურთებზე!



იხ. 5 გვ.

## თქვენც იკაიფეთ, ძვირფასო მკითხველო!




# საქართველო – აზერბაიჯანი უახლოესი მეგობრები და პარტნიორები

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტვირთბრუნვა 75 პროცენტით გაიზარდა.

**„უნდა ვთქვა, რომ რკინიგზის ტრანსპორტი — ბაქო-თბილისი-ყარსი შეიძლება, იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ხუთი მილიონი ტონით დაიტვირთოს, მომდევნო წელს უფრო მეტ კაპიტალდაბანდებას მოვახდენთ ამ მიმართულებით. ამ დერეფანში და უფრო მეტი ფინანსური რესურსი გამოიყოფა. ჩვენ ვაპირებთ ამ მარშრუტის გამოყენებას იმისთვის, რომ კასპიის საშუალებით, აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით, ევროპისკენ გავიტანოთ ტვირთები და ასევე, დავამუშაოთ ახალი მარშრუტები“,** — აღნიშნა ილჰამ ალიევმა.

როგორც ალიევმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთობლივი განცხადების დროს აღნიშნა, ყველა ქვეყნის ინტერესშია, გაიზარდოს ბაქო-თბილისი-ყარსის მიმართულება, მოხდეს საქართველოს პორტების გამოყენება ცენტრალური აზიიდან ევროპისკენ ტვირთბრუნვისთვის და პირიქით.

**„მიგვაჩნია, რომ ამ პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობა გვაქვს. ახალი რეალობა იქმნება და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. უნდა ვთქვა, რომ ბაქოს საერთაშორისო სავაჭრო-საზღვაო პორტი და მისი პოტენციალი გაიზრდება და უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება. ამ კუთხით, სატრანსპორტო მიმართულებით მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ საქართველოსთან, რადგან ეს უნდა იყოს შეხმატკბილებული, ერთობლივი ძალისხმევა. სატრანსპორტო შესაძლებლობის განვითარებისთვის მეზობლებთან უნდა განვავითაროთ ურთიერთობა, რადგან სხვა შემთხვევაში ვერ ვიქნებით სანდო სატრანზიტო ქვეყანა. საქართველოს სახით ჩვენ გვყავს მეგობარი, მეზობელი და პარტნიორი ქვეყანა. საერთო ჯამში, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მზარდია მოთხოვნა ენერგომატარებლებზე, საქართველო და აზერბაიჯანი წარმოდგენილი არიან ერთ ფრონტზე და ერთად ვიმუშავებთ, რათა ჩვენი ეროვნული ინტერესები, ჩვენი მოძმე ერების ინტერესები ისეთ ურთიერთობებზე იყოს აწყობილი, ქმნიდეს ისეთ მნიშვნელოვან ურთიერთობებს, რომ მსოფლიოსაც მოუტანოს სარგებელი. ჩვენი მეგობრობა არის ამის საფუძველი, ჩვენი ერების, ჩვენი ქვეყნების და ჩვენი ქვეყნების ლიდერების ხელშეწყობით. მე ვხედავ ამ შესაძლებლობას და მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ამ მშვენიერ ადგილას ჩემი მოწვევისთვის. მინდა, მეგობარ და მოძმე ერს ვუსურვო სამუდამო კეთილდღეობა“...**

* * *

**„ახალი პროექტები ასევე ითვალისწინებს ელექტრონერგიის მიმართულებით პროექტების განხორციელებას და ინიციატივებს. აზერბაიჯანი აპირებს, ექსპორტზე გაიტანოს ელექტროენერგია საერთაშორისო ბაზრებზე და ჩვენი მარშრუტი აუცილებლად გაივლის საქართველოს. 10 გეგავატი არის ჩვენი შესაძლებლობები განახლებადი ენერგიის კუთხით და კასპიის ზღვის გავლით გვაქვს საშუალება, 157 გეგავატი გავიტანოთ ექსპორტზე. ეს არის საერთაშორისო დათვლებით და პროგნოზებით დადგენილი მაჩვენებელი. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება ახალი სამიზნე ორიენტირი, რათა ელექტრონერგია გავიტანოთ ექსპორტზე და საქართველო და აზერბაიჯანი წარმატებით ითანამშრომლებენ ამ მიმართულებითაც და საერთო ჯამში გაიზრდება ჩვენი თანამშრომლობის პოტენციალი, კეთილდღეობა, ენერგოდერეფნების პოტენციალი“...**

* * *

**„ჩვენ გვაქვს საშუალება და ვაპირებთ, 2027 წლისთვის ევროპაში ექსპორტზე გავიტანოთ თითქმის 20 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. ბუნებრივია, ეს განვიხილეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. იქნება ახალი საკითხები განსახილველი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გაზრდის ექსპორტს, ამ მილსადენით გაიზრდება ექსპორტი და კიდევ უფრო დაიტვირთება. გვინდა, გამოვიყენოთ ბაქო-სუფსის ტერმინალიც, ვიცი, რომ არ არის ახლა ქმედითი, მაგრამ გვინდა, დავტვირთოთ ეს არხიც“.**

* * *

**„ბედნიერი ვართ, რომ თქვენს ლამაზ ქვეყანაში ჩამოვედით და მიხარია, რომ ვიმყოფები ამ ძალიან ლამაზ ადგილას. ქარი მაგონებს ბაქოს, პრინციპში, ამით დასტურდება, რომ ქარიც გვესალმება და მე სახლში ვგრძნობ თავს. ძალიან მიხარია, რომ თქვენს ქვეყანაში კვლავ ვიმყოფები. ჩვენ ხშირად გვაქვს შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილთან. ბატონი ირაკლი ორჯერ იყო ჩამოსული აზერბაიჯანში გასულ წელს და საერთაშორისო ღონისძიებებზეც ვხვდებით ერთმანეთს, ყოველთვის სიხარულით ვიყენებთ ამ შესაძლებლობებს და დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ვიზიტიც შეიტანს წვლილს ჩვენი მოძმე ერების ურთიერთობის მეტად განვითარებაში. ეს ყველაფერი ეფუძნება იმ ურთიერთობებს, რომელსაც ჩვენი ერები საუკუნეების განმავლობაში იზიარებდნენ და ამ მყარ საფუძველზე გვაქვს წარმატებული ურთიერთობა. დღეს სტრატეგიული ურთიერთობა გვაქვს ალიანსის დონეზე, რადგან ბევრ სფეროში ვთანამშრომლობთ აქტიურად, როგორც საერთაშორისო ფორმატში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, ასევე ორმხრივ ფარგლებში და ჩვენ განვახორციელეთ რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი არამარტო ჩვენი ქვეყნებისთვის, არამედ რეგიონულად. როგორც ბატონმა პრემიერმა უკვე ბრძანა, ჩვენ შეხვედრისას შევეხეთ ბევრ საკითხს და გავაგრძელებთ საუბარს სხვა საკითხებზეც. რა თქმა უნდა, მიმდინარე მოვლენები რეგიონში, უსაფრთხოების საკითხები ჩვენი დისკუსიების ცენტრშია მოქცეული“...**

### ირაკლი ღარიბაშვილი: აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხებს ბედი ჰქონიათ, რომ მიეცათ მეზობლობის შესაძლებლობა, ჩვენი ამოცანაა, ამ ტრადიციებს მარადიული სიცოცხლე შევძინოთ

ირაკლი ღარიბაშვილმა ილჰამ ალიევთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აზერბაიჯანი და თბილისი განაგრძობენ მჭიდრო თანამშრომლობას.

**„მივესალმები თქვენ მიერ პრაღაში გაჟღერებულ ინიციატივას ერთობლივი სამმხრივი სადისკუსიო ფორმატის მექანიზმის შექმნის თაობაზე სამხრეთ კავკასიაში. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ არსებულ ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სავაჭრო, სატრანსპორტო პროექტებზე და მათ მნიშვნელობაზე. საქართველო აზერბაიჯანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა და მეგობარია. აზერბაიჯანი არის საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი. ასევე, მიმოვიხილეთ ჩვენ მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტები, რომელიც შეიძლება ითქვას, არის ისტორიული მნიშვნელობის, ისეთები როგორიცაა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი, ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის პროექტები და შუა დერეფნის მნიშვნელობაზეც გვქონდა საუბარი. ვადასტურებთ სრულ მზაობას, რომ ურთიერთობები, როგორც მიმდინარე, ასევე დაგეგმილი პროექტების ტენდენციის მიზნით მაქსიმალურად გავააქტიუროთ ურთიერთობა. მინდა, დავესესხო ილჰამ ალიევის მამას, აზერბაიჯანის ეროვნულ ლიდერს, ჩვენთვის ძალიან პატივსაცემ ადამიანს, ჰეიდარ ალიევს და გავიხსენო ის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა საქართველოში, თბილისში ვიზიტის დროს და რომლითაც მან მიმართა ქართველ საზოგადოებას, აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხებს ბედი ჰქონიათ, როდესაც მათ მიეცათ მეზობლად ცხოვრების მჭიდრო ურთიერთობების შესაძლებლობა, ჩვენმა წინაპრებმა ნახეს ამ ბედნიერების ნაყოფი, ჩვენი ამოცანაა, რომ ამ ტრადიციებს მარადიული სიცოცხლე შევძინოთ და გადავცეთ მომავალ თაობებს“...**

* * *

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, შეხვედრაზე ისაუბრეს ბევრ საკითხზე, რომელიც ეხება ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ძლიერ პარტნიორობას და თანამშრომლობას.

**„მიმოვიხილეთ მსოფლიოში არსებული რთული ვითარება, მიმდინარე პროცესები. ბუნებრივია, შევეხეთ რეგიონში არსებულ ვითარებას და ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რომ ის, რაც ხდება უკრაინაში, უნდა დარეგულირდეს მოლაპარაკების გზით. ასევე მინდა ვთქვა, რომ რეგიონსა და მსოფლიოში სწრაფად ცვალებადი და რთული გამოწვევების პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობასა და სტაბილურობას, რომელიც არის საკვანძო მოცემულობა ჩვენი რეგიონის და ზოგადად, ჩვენი ხალხების კეთილდღეობისთვის. ჩვენ ასევე შევეხეთ რეგიონში არსებულ სიტუაციას, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უკანასკნელ პერიოდში მიღწეულ შეთანხმებას მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესის დაწყების თაობაზე. ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდ იმედს გვაძლევს. აქვე მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ საქართველო, პირადად მე და ჩვენი მთავრობა აცხადებს სრულ მზადყოფნას, რომ გავაგრძელოთ და ხელი შევუწყოთ მშვიდობიან პოლიტიკას, რომელიც ჩვენ ერთად დავიწყეთ და წამოვიწყეთ. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა არ ეწინააღმდეგება და არ ანაცვლებს თანამშრომლობის სხვა რომელიმე ფორმატს, პირიქით, ეს დაეხმარება და მჯერა, რომ ჩვენ ერთად ბევრ მნიშვნელოვან საქმეს გავაკეთებთ“.**

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებული კეთილმეზობლური, მეგობრული და სტრატეგიული პარტნიორობიდან, თანამშრომლობის დღის წესრიგიდან გამომდინარე, ილჰამ ალიევის ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**24 ოქტომბერი, 2022 წ.**

## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენს მეგობრობას უდიდესი პოტენციალი აქვს!

**ჩვენი საერთო მიზანია რეგიონში მეგობრობის, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა,** — საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ვიზიტის შესახებ ტვიტერში წერს. როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, ილჰამ ალიევთან შეხვედრისას განიხილეს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებული ხანგრძლივი სტრატეგიული პარტნიორობა, პერსპექტივები და უზარმაზარი პოტენციალი.

**„მოხარული ვარ პრეზიდენტ ალიევის მასპინძლობით. განვიხილეთ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებული ხანგრძლივი სტრატეგიული პარტნიორობა, პერსპექტივები და უზარმაზარი პოტენციალი. ჩვენი საერთო მიზანია რეგიონში მეგობრობის, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა“,** — აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

# „ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც რამდენჯერმე გამოსცადა რუსული აგრესია!“

**ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის პირველი საპარლამენტო სამიტის სესია გაიხსნა.**

ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის პირველ საპარლამენტო სამიტში 32 პარლამენტის 43 დელეგაცია, 5 საერთაშორისო საპარლამენტო ორგანიზაცია და 26 პარლამენტის თავმჯდომარე მონაწილეობს. საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ვიცე-სპიკერი არჩილ თალაკვაძე და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე შედიან.




**„ყირიმის პლატფორმაზე გვექნება შესაძლებლობა, რომ პარლამენტების დელეგაციებმა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ სოლიდარობა უკრაინის მიმართ“,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

**„რაც შეხება ჩვენს დელეგაციას და ჩემს გამოსვლას, აქ საქართველოს გამოცდილებიდან გამომდინარე გვექნება საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს რუსული აგრესია, როგორი იყო თავის დროზე შესაძლოა, არასათანადო რეაგირება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან და რა უნდა იყოს სწორი რეაგირება რუსულ აგრესიაზე.**

**ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა რუსული აგრესია და ძალიან კარგად ვიცით, როგორი უნდა იყოს სწორი რეაქცია. ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე გვექნება საუბარი იმაზე, თუ რას უნდა გულისხმობდეს თავის თავში სოლიდარობა უკრაინის მიმართ“,** — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

# რა სურს ამერიკას?!.

## (წერილი მესამე)







**ამ სათაურით წარმოდგენილი წერილების ციკლის მესამე ნაწილში მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესში მსოფლიო პოლიტიკის ოთხი ზესუბიექტის (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი) პერსპექტივებზე უნდა მესაუბრა (ასე მქონდა დაანონსებული), მაგრამ ბოლო დღეების ორმა იაფფასიანმა მანიპულაციამ მაიძულა, თემა შემეცვალა (ეს თემაც ციკლის საერთო კონტექსტის ნაწილია).**

ვერ გავატარებ! **ვერ გავატარებ, რადგან არ შეიძლება გავატაროთ, როცა საქმე ჩვენი ქვეყნის მიმართ უპატივცემულო, შეურაცხმყოფელ, აგდებულ დამოკიდებულებას ეხება** (თუნდაც იაფფასიანი პოლიტტრიუკების გამოყენებით).

„ევროსაბჭოს“ რეზოლუციას და „უკრაინულ“ სანქციებს თუ განყენებულად შევაფასებთ, ჩვენი ქვეყნის საზიანოდ მიმართულ ორ უბადრუკ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ თუ მათ შევხედავთ როგორც **საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის ელემენტებს** (სწორედ ასეთად უნდა ფასდებოდეს), მაშინ...

მიუხედავად იმისა, რომ განვლილი რვა თვის განმავლობაში ყველა შეტევა, მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, წარმატებით მოვიგერიეთ, თავს დამშვიდების უფლებას ვერ მივცემთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ომის დასრულებამდე საფრთხე მუდმივად იარსებებს.

ახლა მთავარზე... მთელმა საქართველომ იცის, რომ **არც სააკაშვილის პოლიტპატიმრად გამოცხადების „იდეა“ დაბადებულა ევროსაბჭოს კაბინეტებში და არც სანქციებით შანტაჟი წარმოადგენს უკრაინელი „პოლიტიკოსების“ თვითშემოქმედებას.** (ამ „უბრალო“ მიზეზის გამო მოექცა ბრჭყალებში „ავტორების“ დასახელებები). ნებისმიერი შემთხვევითი გამვლელი გეტყვით, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ინიციატივა **სათავეს იღებს ერთი ცენტრიდან,** იმ ცენტრიდან, **სადაც შემუშავდა მსოფლიოს ახალი გადანაწილების მიმდინარე პროცესში ქართველი ხალხის საზარბაზნე ხორცად გამოყენების გეგმა.** ამ ცენტრს, მძიმედ გასახსენებელი წარსულის „ნოსტალგიიდან“ გამომდინარე, **„ვაშინგტონის კრემლის“** სახელით მოვიხსენიებ ხოლმე.

ხსენებული ორი დოკუმენტის ინიციატივა, ფორმალურად, უკრაინელი „პოლიტიკოსებიდან“ და ნაცმავნებლების ქართველი და უკრაინელი წევრებიდან მოდიოდა. შეიძლება მინდოდეს ვიფიქრო, რომ ამ ყველაფრის უკან **სააკაშვილისა და ბოკერიას ძველი მეგობარი,** ჩვენი ხელისუფლების მიერ უარყოფილი და ამის შემდეგ უკრაინაში წარგზავნილი, **ელჩი ბრიჯიტ ბრინკი** დგას-მეთქი, მაგრამ როცა დამაზიანებელ აქტივობებს სისტემატური და კომპლექსური ხასიათი აქვს, ამის პიროვნულ დონეზე დაყვანა დიდი გულუბრყვილება იქნება. ეს შეფასება იმის გამეორებაა, რაც ელჩი დეგნანის მისამართით არაერთხელ მითქვამს.

(ისე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **ქალბატონი კელის ყოველი პირის გაღება ჩვენი კითხვებისა და ეჭვების მყისიერ, მკაფიო დასტურად იქცევა ხოლმე, მათზე ერთგვარ ბეჭდის დასმას ემსგავსება.** კელი დეგნანის დონის „დიპლომატის“ მოვლინება თავისთავად არის უპატივცემულობისა და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამოვლენა სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადებული ქვეყნისადმი. გასაგებია, სამხედრო ოფიცერზე რატომ გაკეთდა არჩევანი, მაგრამ მსგავსი კატასტროფა?!. ამერიკის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს ასეთი იაღლიში სხვაგან რომ მოსვლოდათ, მონაყოლით ვერ და არ დავიჯერებდი... ნული დიპლომატია — ნულოვანი პოლიტიკური კვალიფიკაცია, ნულოვანი მანევრირების უნარი და... კოლოსალური უტიფრობა. ასეთი ელჩები, უბრალოდ, არ არსებობენ).

ვფიქრობ, „ურწმუნოებისთვის“ არამეგობრული დამოკიდებულების ახალ არგუმენტად უნდა იქცეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირის, ქალბატონი ჯენკინსის ვიზიტი. სამწუხაროდ, **საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულებისთვის ეპითეტად „არამეგობრულზე“ უფრო რბილი სიტყვა ვერ შევარჩიე.** ძალიან მძიმეა ამის აღიარება. მძიმეა, როცა ღიად გიფიქსირებენ, რომ მეორეხარისხოვანი ხარ („მეგობრების“ ყოველი ფრაზის მიღმა იკითხება - „როგორ ბედავთ...“, „ჭკუით იყავით, თორე-ე...“ და სხვ.). აღნიშნული განსაკუთრებით მძიმეა ჩვენთვის, უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის, რადგან ეს ერთხელ უკვე გავიარეთ და კიდევ უფრო მძიმეა იმიტომ, რომ **მთელი შეგნებული ცხოვრება რუსეთის იმპერიასთან ომში გავატარეთ და იმ დროიდან პარტნიორად შეგულებული ქვეყნის წარმომადგენლები ჩვენ სამართლიან კითხვებს და თუნდაც პრეტენზიებს, უაპელაციოდ და უსინდისოდ, რუსეთის სამსახურად რომ გვითვლიან...** ამაზე მეტ შეურაცხყოფას ვერც მოიფიქრებ...

„რა სურს ამერიკას?!.“

ციკლის პირველ წერილში გულისტკივილით აღვნიშნავდი: „ქალბატონი ჯენკინსის ვიზიტმა დაგვანახა, რომ **პოზიციების გადასინჯვა „ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას“** და იქვე გამოვთქვამდი ვარაუდს — ეტყობა, **„ამერიკის შესაბამისი სამსახურები თვლიან, რომ ამ დროში** (ომის დასრულებამდე) **თავისი გეგმების რეალიზების შანსი კიდევ ბევრჯერ მიეცემათ“.** მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, ყოვლად სამარცხვინო მანიპულაციებით შანტაჟის მცდელობამ, დაგვანახა, რომ არ ვცდებოდი.

**ასე რომ, როგორც ბატონი ჭაბუა იტყოდა — ჭკუით, ქართველებო!**

**ბიძინა დვალი**

21.10.2022 წ.

## მთავარში – ერთობა სადავოში – თავისუფლება, ყველაფერში – სიყვარული

### გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

**ბატონებო!**

**გვაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ 6-25 ნოემბერს, იტალია-საბერძნეთი-თურქეთის 20 ქალაქში, მეცნიერთა კონგრესი ჩაატარებს „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა“ მსოფლიო კონგრესს.**

**პირველი ასეთი კონგრესი ჩატარდა გასული ათასწლეულის ბოლოს. მისი ინიციატორები იყვნენ მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები. კონგრესის თავმჯდომარე გახლდათ ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე.**

**ცნობილმა მამულიშვილებმა, ბატონებმა: მერაბ ბერძენიშვილმა, რეზო ჩხეიძემ, ანზორ ერქომაიშვილმა, გიგა ბათიაშვილმა, არნოლდ გეგეჭკორმა, გივი თოიძემ, ომარ მხეიძემ, რომან რურუამ, ტარიელ ხარხელაურმა, თემურ გუგუშვილმა და რამაზ ყურაშვილმა ამ იდეის გაგრძელების მიზნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, დააარსეს „ქართული ერთობის დარბაზი“ (ქედ-ი) და დაიწყო მსოფლიო კონგრესის ახალი პრინციპით ჩატარებისათვის მზადება, რაც ითვალისწინებს მსოფლიოს 40 ქვეყნის 87-ზე მეტ ქალაქში (სადაც თითოეულში 1000-ზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და საქმიანობს) კონგრესის სესიების ჩატარებას, რომლებზეც აირჩევიან დელეგატები, ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესში მონაწილეობისათვის.**

**მომავლის საქართველოსთვის აუცილებელია ხალხის, ხელისუფლებისა და ეკლესიის თანამშრომლობა. პოლიტიკური დაპირისპირებით დამძიმებულ ქვეყანაში, როცა მის გარეთ უამრავი ჩვენი თანამემამულეა, ამ პროცესის დაწყებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მით უფრო, რომ იგი ეფუძნება ბიბლიურ პრინციპს: „მთავარში — ერთობა, სადავოში — თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში — სიყვარული“. ეს კონგრესი ამ მიზანს ემსახურება.**

**პატივისცემით გთავაზობთ მიიღოთ მონაწილეობა „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა“ მსოფლიო კონგრესის მუშაობაში.**

**დაწვრილებით ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ.**

პატივისცემით,
მეცნიერთა კონგრესის სახელით,
სპიკერი: **ერეკლე შონია**

**(საკონტაქტო ტელ.:599 50 30 51)**
**ელ.ფოსტა: metsnierta.kongresi@gmail.com;**
**ვებ.გვერდი www.civilizebuli.ge**

# „მართლმსაჯულების რეფორმამ სასამართლოს წინაშე არსებული მთავარი გამოწვევები უნდა გადაჭრას!



**აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, მართლმსაჯულების რეფორმამ სასამართლოს წინაშე არსებული მთავარი გამოწვევები უნდა გადაჭრას. ამის შესახებ ელჩმა ჟურნალისტების კითხვაზე პასუხად განაცხადა. კითხვა კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად ლევან მურუსიძისა და დიმიტრი გვრიტიშვილის დამტკიცებას შეეხებოდა.**

ელჩი ვარაუდობს, რომ ამ გადაწყვეტილებას, ალბათ, ევროკომისია შეაფასებს და აღნიშნავს იმასაც, რომ მართლმსაჯულების რეფორმაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა და არა მხოლოდ ნაწილი რეკომენდაციებისა, რომელიც საქართველოს ევროკავშირის მიერ აქვს განსაზღვრული.

**„როდესაც დემოკრატიის დაცვაზე ვსაუბრობთ, თავად პროცესი უნდა იყოს ფართო, ინკლუზიური და მასში უნდა მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რა თქმა უნდა ოპოზიცია, ამასთან დაინტერესებული მხარეები, არა მარტო იმიტომ, რომ მათ ამ სფეროს ინტერესი აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ მათ ძალიან კარგი იდეები და მოსაზრებები აქვთ“,** — განაცხადა კელი დეგნანმა.

ელჩი ამბობს, რომ რეგიონებში ვიზიტებისას ძალიან ბევრ მოსამართლეს შეხვედრია, რომლებიც არიან „თავისი საქმის ერთგული პროფესიონელები“:

**„ვფიქრობ, მართლმსაჯულების რეფორმამ ის ძირითადი და მთავარი გამოწვევები უნდა გადაჭრას, რაც სასამართლოს წინაშე დგას. მაგალითად, ზოგ სასამართლოში ძალიან ბევრი დაგროვილი საქმეა, ზოგან მოსამართლეების ნაკლებობაა და რაც მთავარია, მოქალაქეებმა უნდა მიიღონ სათანადო მხარდაჭერა მართლმსაჯულების მხრივ“,** — განაცხადა კელი დეგნანმა.

23 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გამართულმა მოსამართლეთა 31-ე კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად ლევან მურუსიძე და დიმიტრი გვრიტიშვილი აირჩია.

**დიმიტრი გვრიტიშვილის კანდიდატურა მოსამართლეებმა დაასახელეს, ხოლო ლევან მურუსიძემ თავად დააყენა საკუთარი კანდიდატურა.**

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ორი წევრის ადგილი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც მოსამართლეებმა გოჩა აბუსერიძემ და გიორგი გოგინაშვილმა თანამდებობა საკუთარი განცხადებების საფუძველზე დატოვეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები თანამდებობაზე 4 წლის ვადით ინიშნებიან. **გადაწყვეტილება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა შეაფასეს, როგორც მმართველი პარტიის მცდელობა, უარი თქვას 12 პუნქტის შესრულებაზე.**

# „ხალხის ძალას“ 200-მდე ახალი წევრი შეემატა



**„ხალხის ძალა“ ფართოვდება, ამ დღეებში მოძრაობას 200-მდე ახალი წევრი შეემატა – ესენი არიან საკრებულოს წევრები და თანამდებობის პირები უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტიდან, – ამის შესახებ მოძრაობის ლიდერებმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადეს.**

**როგორც დამფუძნებლები აღნიშნავენ, ამ დრომდე მთავარი საფრთხე საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და საქართველოს ომში ჩართვის მცდელობებია.**

**„ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა და საჯარო განცხადებებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურა, რამდენად სწორი და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილება იყო, როცა საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ ჩამოვაყალიბეთ და ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დავისახეთ, საქართველოს მოსახლეობას ღიად ველაპარაკოთ იმ საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ – მთავარი საფრთხე საქართველოში მეორე ფრონტის გახსნისა და საქართველოს ომში ჩართვის მცდელობებს უკავშირდებოდა და ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილება იყო.**

**ამის გაკეთება კი ერთადერთ ძალას – სწორად და დროულად ინფორმირებულ ხალხს და მის გადაწყვეტილებებს – შეეძლო. ვფიქრობთ, რომ პირველი ეტაპის ამოცანა ჩვენმა მოძრაობამ (საზოგადოებასთან ერთად) წარმატებით შეასრულა, თუმცა, საფრთხეები ჯერ კიდევ არ არის განეიტრალებული“,** – აღნიშნავენ მოძრაობის დამფუძნებლები.

მოძრაობის წარმომადგენლების თქმით, ბოლო პერიოდში უკრაინის ხელისუფლების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ გააქტიურებულია მუქარები და ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებები.

**„ხალხის ძალა“ შემაშფოთებელს უწოდებს იმ ფაქტს, რომ „უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსად, საქართველოში ხელისუფლების იარაღით შეცვლისკენ მოწოდება ამერიკელი კონგრესმენის ადამ კინზინგერისგანაც მოვისმინეთ, რაზეც საქართველოში აშშ-ის ელჩმა განაცხადა, რომ მსგავსი მოწოდებები გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილია“.**

**„ამ ფონზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ხალხი გაერთიანდეს მშვიდობის და იმ ღირებულებების დასაცავად, რასაც ევროპული ცივილიზაცია ეფუძნება და რაც ქართული ტრადიციების განუყოფელი ნაწილია. რამდენიმე კვირის წინ ჩვენ განვაცხადეთ, რომ ჩვენი მოძრაობის შემდგომი ნაბიჯი რეგიონული წარმომადგენლობის გაძლიერება იქნებოდა და ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას უახლოეს მომავალში მივაწვდიდით. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ დღევანდელ ურთულეს გარემოში, ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხეების თავიდან აცილების ერთადერთ გზად საზოგადოების სიმართლით (და საჭირო ინფორმაციით) აღჭურვა გვესახება. შესაბამისად, დღეს ჩვენს მოძრაობას შემოუერთდნენ საკრებულოს წევრები და თანამდებობის პირები უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტიდან. დარწმუნებული ვართ, ჩვენი ერთიანობით და საზოგადოების ძალისხმევით გადავლახავთ ყველა სიძნელეს, რაც ჩვენი სამშობლოს წინაშე დგას და საქართველოს განვითარებას ხელს ვერაფერი შეუშლის, რადგან ისტორიული კანონზომიერებაა, რომ სიმართლე და სამართლიანობა საბოლოოდ აუცილებლად იმარჯვებს“,** – ნათქვამია განცხადებაში.

# ფული, თუნდაც ვირტუალური, ხატზე დაფიცების საპირწონედ!

## სვანეთში ენერგოკრიზისი წელსაც მოსალოდნელია – მიზეზი ისევ კრიპტოვალუტის მაინინგია



**წლეულს 9 თვეში მესტიაში ელექტროენერგიის მოხმარება შარშანდელთან ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24%-ით გაიზარდა. რასაკვირველია, ეს, პირველ რიგში, სვანეთში ფრთებგაშლილ მაინინგს უკავშირდება. კრიპტოვალუტის უკანონო ფერმებმა რეგიონს დიდი პრობლემა შეუქმნა და სავარაუდოდ, წლევანდელი ზამთარიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის მძიმე გადასატანი იქნება.**

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ინფორმაციით, 2022 წლის იანვარ-სექტემბერში რეგიონში ელექტროენერგიის მოხმარება 87,777,-811 კვტ/სთ იყო, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდში 70,891,626 კვტ/სთ. მესტიის რაიონში მოსახლეობა ელექტროენერგიას უფასოდ იღებს, თუმცა სხვა მაღალმთიანი რეგიონებისგან განსხვავებით, ეს მიწოდება განპირობებულია იმით, რომ რეგიონის გამრიცხველიანება ვერ მოხერხდა. რეგიონში ასევე მიმდინარეობდა კრიპტოვალუტის მაინინგიც, რის გამოც გასულ წლებში ადგილზე ქსელები გადაიტვირთა, რასაც მიმწოდებელი კომპანიის ინფორმაციით, ელექტროენერგიის გათიშვა და გადამცემი ინფრასტრუქტურის დაზიანებაც მოჰყვა.

გასული წლის დეკემბერში მესტიაში მოსახლეობის ნაწილმა ხატზე დაიფიცა, რომ მაინერებს, იგივე კრიპტოვალუტის მომპოვებელ აპარატებს გამორთავენ. მიუხედავად ამისა, „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ აცხადებდნენ, რომ ელექტროენერგიის მოხმარება იანვარში არ შემცირებულა.

საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავჯდომარე **დავით ნარმანიაც** ადასტურებს, რომ კრიპტოვალუტის მოპოვების მხრივ განსაკუთრებული პრობლემა, ოკუპირებული აფხაზეთის შემდეგ, სვანეთშია.

**„მაინინგი კვლავ ენერგიის მოხმარების ერთ-ერთ წყაროდ რჩება. აფხაზეთში, რა თქმა უნდა, უკონტროლოა მოხმარება. რაც შეეხება დანარჩენ საქართველოს, იქ აღრიცხვიანობასთან დაკავშირებული საკითხები მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, თუმცა სვანეთში კრიპტოვალუტის მოპოვება და შესაბამისი აღრიცხვიანობა, კვლავ პრობლემაა“,** – განაცხადა დავით ნარმანიამ და კითხვაზე თუ რატომ ვერ ხერხდება საკითხის გადაჭრა, სემეკის თავმჯდომარემ პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობას დააკისრა.

ნარმანია, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს აცხადებდა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში უკანონო მაინინგი სერიოზულ პრობლემას ქმნის და აუცილებელია, სამართალდამცავებს შესაბამისი რეაქცია ჰქონდეთ. როგორც ჩანს, სვანეთის პრობლემის გადაჭრის გზებზე არავინ ფიქრობს, რადგან ერთი წლის თავზეც არაფერი შეცვლილა. ენერგოომბუდსმენი **სალომე ვარდიაშვილი** აცხადებს, რომ პრობლემის მოგვარებაზე პირველ რიგში, ალბათ, მომსახურე კომპანიამ უნდა იფიქროს, დაგეგმოს და გადადგას ნაბიჯი.

**„ზოგადად, როგორ იგეგმება ამ პრობლემის მოგვარება, ეს ალბათ, თვითონ მომსახურე კომპანიამ უნდა მოიფიქროს და განახორციელოს. ამასთან დაკავშირებით, როგორც დარგის უფლებადამცველს, როგორც მომხმარებელთა ინტერესთა დამცველს, რა თქმა უნდა, არანაირი გეგმა არ მექნება. მე უბრალოდ, მივესალმები, რომ, როგორც კომპანია, ისე მომხმარებელი მოიქცეს კეთილსინდისიერად. მაგალითად, მაინინგებთან დაკავშირებით ნებისმიერ შემთხვევაში ელექტროენერგია უსაფუძვლოდ არ გამოიყენოს და რასაც გამოიყენებს, ასეთ დროს გადაიხადოს თანხა“,** – განაცხადა ვარდიაშვილმა.

მაინინგის ე.წ. ფერმები, რომლებიც ქსელთან, უმეტეს შემთხვევაში, უკანონოდ არიან მიერთებული და დიდი ოდენობის ელექტროენერგიას მოიხმარენ, გახშირებული ავარიების მიზეზი ხდება. გარდა იმისა, რომ ადგილობრივები ზამთრის ყინვაში გათბობის გარეშე, სიბნელეში რჩებიან, რეგიონი ტურისტებსაც კარგავს. ხშირად სასტუმროებს დენთან ერთად წყალიც არ მიეწოდებათ.

**ბექა დანელია**

## ანა აბაშიძე თავის ფუნქციებში ვერ ერკვევა...



**„საკმაოდ ფართოდ გავრცელდა თქვენი სახელით ასეთი შინაარსის მოთხოვნა – „უალტერნატივოა ეს მოთხოვნა, გადადგეს ირაკლი ღარიბაშვილი, ეროვნული თანხმობით შეიქმნას მთავრობა, რომელიც შეასრულებს ევროკომისიის რეკომენდაციებსო“. ეს არ არის მიკერძოება?“** – ამ კითხვით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ სახალხო დამცველის კანდიდატს, ანა აბაშიძეს მიმართა. ამ შეკითხვაზე აბაშიძემ უპასუხა, რომ ეს მისი, როგორც მოქალაქის პოზიცია იყო.

**„ეს იყო მოქალაქის პოზიცია, რომელმაც ნახა არაერთი ადამიანის უფლების დარღვევა, სისტემური, რომელმაც მოისმინა ძალიან მკვახე უარყოფა კონკრეტული პრობლემების აღიარების და კი, ეს იყო ჩემი პოზიცია, როგორც მოქალაქის“,** – განაცხადა ანა აბაშიძემ. პარლამენტში სახალხო დამცველობის კანდიდატთა მოსმენა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე ანა აბაშიძეს მოუსმინეს, რომელიც პარლამენტს ოპოზიციურმა პარტიებმა წარუდგინეს.





# სოსო თოფურიძის სენსაციური, სატირულ-იუმორისტული მონოლოგი საკუთარ თავსა და ნაციონალ მანქურთებზე!



**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი სოსო თოფურიძე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებით სოციალურ ქსელში კიდევ ერთ ნაბქუტურევს აქვეყნებს.**

„**სად** მივყავართ ენმ-ის ლიდერების ლიანდაგს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, 07.10.2022 წელს გავრცელდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების, ანა წითლიძისა და ლევან ბეჟაშვილის განცხადებები.

**ანა წითლიძე:** „თოფურიძე იმალება, საერთოდ არ არის ქვეყანაში, ჩამოვიდეს და პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომელიც რეალურად არსებობს მის წინააღმდეგ. არ ვგულისხმობ მხოლოდ პროკურატურას, ვგულისხმობ იმ კითხვებსაც, რომელიც აქვს საზოგადოებას“.

**ლევან ბეჟაშვილი:** „სოსო თოფურიძე ათი წლის განმავლობაში არც საქართველოთი, არც პოლიტიკით, არც „ნაციონალური მოძრაობით“ არ დაინტერესებულა. თავის დროზე, მისი საქმიანობით საკმაოდ ბევრი ზიანი მიადგა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და ჩვენ, დღევანდელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები, ლიდერები ვიმკით იმ საქმიანობის შედეგებს“.

**ბატონ ლევანს შევახსენებ ჩემს სამსახურებრივ გამოცდილებას:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მინისტრი მიხეილ სააკაშვილი. თანამდებობა: გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსი; საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების სამინისტრო, მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, თანამდებობა: დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, თანამდებობა: გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, თანამდებობა: საქართველოს პრეზიდენტის, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიული სამსახურის, განყოფილების უფროსი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მინისტრი – ვანო მერაბიშვილი, თანამდებობა: კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილე; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მინისტრი – დიმიტრი შაშკინი, თანამდებობა: შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციის უფროსი;

განუმარტეთ საზოგადოებას, რომელ სამინისტროში, რომელ მინისტრთან მიაყენა საკმაოდ დიდი ზიანი „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩემმა საქმიანობამ?! საზოგადოებას შევახსენებ, რომ „თავის დროზე“, როგორც მოიხსენიებს ბატონი ლევანი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდს, თვითონ გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი. კონტროლის პალატის თავმჯდომარე... გამორიცხულია, ჩემი საქმიანობის შესახებ მას ინფორმაცია არ ჰქონოდა და თუ „არ ჰქონდა“, დედამიწაზე არ მეგულება ისეთი წესიერი ადამიანები, როგორიც ჩემი მინისტრები იყვნენ. ბატონ ლევანს რომ ეკითხა მათთვის ჩემი საქმიანობის შესახებ, გაერკვეოდა რეალობაში და უპასუხისმგებლო, საეჭვო, ცრუ განცხადებას საქვეყნოდ არ გააკეთებდა!

დღეს, როდესაც საქართველოს საპყრობილეში დატყვევებულია პოლიტპატიმარი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოში სასჯელს იხდიან პოლიტპატიმრები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ათი წელი იძულებით გადახვეწილი ვიმყოფებით დევნილობაში. ამ დროს: მე, იოსებ თოფურიძეს, პოლიტდევნილს, პოლიტიკური ნიშნით დაუსწრებლად გასამართლებულს, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლს 1996 წლიდან, მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, დეპუტატები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მთელი მსოფლიოს გასაგონად მომიწოდებენ საქართველოში დაბრუნებას და პროკურატურისთვის კითხვებზე პასუხის გაცემას, ქექავენ ჩემს წარსულ საქმიანობას, მაბრალებენ არ ჩადენილ დანაშაულს!

რას ემსახურება თქვენი, ოპოზიციური პარტიის ლიდერების, დეპუტატების აშკარად რუსული პროპაგანდა, კრემლის საამებელი უპასუხისმგებლო განცხადებები?! დეპუტატის განცხადებას არა მარტო საზოგადოება აკვირდება გამადიდებელი შუშით, არამედ ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. თქვენი განცხადებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მთელ მსოფლიოში ვრცელდება. ნუ გავიწყდებათ, რომ მტერი ყველას ერთი გვყავს და გონიერება გამოიჩინეთ, როცა საქვეყნოდ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებთ. ჩემი საქმიანობის გამო, საქართველოში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის რუსული სპეცსამსახურები დამდევენ. ჩემ წინააღმდეგ სპეციალური ჯგუფებია შექმნილი და დღეს მე თუ ცოცხალი ვარ და არ ვარ ექსტრადირებული რუსეთში, ევროპული ქვეყნის დაცვის შედეგია.

ქალბატონო ანა, თქვენ, როდესაც საქვეყნოდ მადანაშაულებთ, უკმაყოფილო ბრძანდებით ჩემი საქმიანობით, საზოგადოებას გააცანით, პირადად თქვენი (არა, მიშა სააკაშვილთან ერთად) გაკეთებული სამი საქმე და თქვენს მერე მე გავაცნობ საზოგადოებას 100, 200 – კონკრეტულ, ჩემს საქმიანობას და ხალხმა განსაზღვროს, ქვეყნის აღმშენებლობაში ვის მეტი საქმე უკეთებია, მე თუ თქვენ!

თანამდებობებზე ყოფნის დროს, მე კანონი, ადამიანის უფლებები არ დამირღვევია, პატიოსნად ვემსახურებოდი ჩემს ხალხს და ქვეყანას. ზოგიერთებისგან განსხვავებით, თანამდებობა ბოროტად არ გამომიყენებია პირადი გამდიდრებისა და ქონების დაგროვების მიზნით!

მე თქვენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ვერც სიტყვა-პასუხით მაჯობებთ და ვერც თქვენი „პოლიტიკით“. ვინმე თუ ფიქრობთ, რომ დაუფიქრებელ ნაბიჯებს ვდგამ, ძალიან ცდებით! ჩემი მიზანია საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თავისუფლება, პოლიტპატიმრების თავისუფლება, საქართველოს ჰყავდეს ძლიერი ოპოზიცია, რომ ხალხმა არჩევნებზე კონკურენტუნარიან პარტიებს შორის აირჩიოს საუკეთესო. ჩემი მიზანი არ არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლა!

დღეს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი გაუგებრობაა, პარტიას ნიჭიერი ახალგაზრდები ტოვებენ. კითხვები მატულობს პარტიის ლიდერების მიმართ. მე ხელთ მაქვს ისეთი სერიოზული მაკომპრომიტირებელი დოკუმენტები(!!!) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის შესახებ, რომ სააშკარაოზე გამოტანის შემთხვევაში, პოლიტიკური ველი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ რადიკალურად შეიცვლება!

**P. S.** „გზა საქართველოს განვითარებისთვის არის რეფორმები, რეფორმები და რეფორმები, ყოველგვარი უკან დახევის გარეშე!“ მიხეილ სააკაშვილი, გრანდიოზული რეფორმების გატარება, პოლიციის რეფორმა, სამხედრო რეფორმა, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულის, მაფიის დამარცხება, ახალი, ძლიერი, სამართლებრივი ქვეყნის შენება, მტკიცედ, საქართველოს უსაფრთხოების დაცვა!

ეს გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ჩვენი გუნდის, პირადად ჩემი ძირითადი საქმიანობა. ჩემი საქმიანობით, დღეს თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, დეპუტატები იმკით იმ საქმიანობის შედეგებს, საზოგადოებას კითხვები ჩემთან კი არა, თქვენთან, ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან ექნებათ. თქვენი საქმიანობის შედეგს ხომ არ იმკის საპყრობილეში გამომწყვდეული პოლიტპატიმარი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ათი წელი თქვენზე იმედდაკარგული ქართველი ხალხი?! რა ხდება, სად მივყავართ ენმ-ის ლიდერების ლიანდაგს! ველოდები, თქვენს პასუხს.

პატივისცემით, პოლიტდევნილი, პოლიციისა და სამხედრო პოლკოვნიკი იოსებ თოფურიძე“, – წერს სოსო თოფურიძე.

# სებასტიან მოლინეუსი: საქართველოში ვნახეთ შესანიშნავი ეკონომიკური ზრდა...

**ბოლო ორ წელიწადში ვნახეთ შესანიშნავი ეკონომიკური ზრდა და ვფიქრობ, წელს რვაპროცენტიანი ზრდა იქნება. მომავალ წელს გვექნება ძლიერი ეკონომიკური წინააღმდეგობა ყველა ჩვენგანს, მათ შორის საქართველოს, მოსალოდნელია რეცესია ევროპაში და მეზობელ ქვეყნებში,** – ამის შესახებ განაცხადა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა, სებასტიან მოლინეუსმა საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის პრეზენტაციაზე.

**„ძალიან დიდი პატივია ადამიანური კაპიტალის პროგრამის დაწყების ხელშეწყობა, რომელსაც აქ, საქართველოში ვავითარებთ. ეს ძლიერი პროგრამაა, რომელსაც საქართველოს მთავრობასთან ერთად, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტროსთან, ჯანდაცვის სამინისტროსთან და განათლების სამინისტროსთან ერთად ვახორციელებთ, ასევე ჩართულია საფრანგეთის განვითარების სააგენტო. რატომ არის ეს პროგრამა მნიშვნელოვანი? სამი მიზეზის გამო – ჩვენ გვაქვს ყველაზე დაბალი, ფაქტობრივად მეორე ყველაზე დაბალი ლიდერობის მაჩვენებელი ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის მასშტაბით საქართველოში. ჩვენ გვაქვს უმაღლესი ჯიბის ხარჯები რეგიონში და მსოფლიოს მასშტაბითაც და დავინახეთ, რომ სოციალური დაცვის სისტემა მოექცა ზეწოლის ქვეშ კოვიდპანდემიის დროს. ამის გათვალისწინებით, ჩვენ განზრახული გვაქვს ყოვლისმომცველი პროგრამის დაწყება, რომელიც ნამდვილად გააუმჯობესებს ჯანდაცვის შედეგებს, განათლების შედეგებს და უფრო მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, რომელიც გავლენას მოახდენს ღარიბ მოსახლეობაზე. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საერთო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეალური გავლენა ექნება საქართველოში მოსახლეობის და ოჯახების ცხოვრებაზე“.**

* * *

**„ერთი მხრივ ჩვენ საქართველოში ვხედავთ უმუშევრობის მაღალ დონეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მეორე მხრივ ვხედავთ, რომ ბევრი კომპანია ჩამოდის და ითხოვენ მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებს. ამჟამად ისინი აწყდებიან შრომითი ძალისა და კვალიფიკაციის ნაკლებობას საქართველოში. საჭიროა, რომ განათლების სისტემამ უზრუნველყოს მაღალი დონის უნარები, რომ დაკმაყოფილებული იყოს ის მოთხოვნები, რაც აქვს მომსახურების ინდუსტრიას და უმაღლესი განათლების დონეს“,** – განაცხადა მოლინეუსმა.

ამასთან, სებასტიან მოლინეუსმა ეკონომიკური ზრდის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ წელს საქართველოში რვაპროცენტიან ზრდას ელოდებიან. ასევე, მოლინეუსი იმედს გამოთქვამს, რომ მომდევნო წლებში საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი დასტაბილურდება.



**„ბოლო ორ წელიწადში ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი ეკონომიკური ზრდა და ვფიქრობ, წელს რვაპროცენტიანი ზრდა იქნება. მომავალ წელს გვექნება ძლიერი ეკონომიკური წინააღმდეგობა ყველა ჩვენგანისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. მოსალოდნელია რეცესია ევროპაში და მეზობელ ქვეყნებში. ჩვენ ველოდებით ეკონომიკურ გაუარესებას რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ეს გავლენას იქონიებს ღია ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც დამოკიდებულია ვაჭრობაზე, ტურიზმზე და როდესაც საქართველოს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკები ზარალდება, ამას გავლენა აქვს საქართველოზეც. ინფლაცია ახლა გლობალური პრობლემაა. საქართველოში 10 პროცენტზე მეტია, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში. მჯერა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს ინფლაციის შესამცირებლად. ვფიქრობ, მთავრობა სწორ სიგნალებს გზავნის. იმედი მაქვს, რომ მომდევნო წლებში ინფლაციის სტაბილურ კლებას ვნახავთ“,** – განაცხადა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა, სებასტიან მოლინეუსმა.




# აქა ამბავი ჩემი სიბე(ვ)რისა

**აჰა, ესეც 16 ოქტომბერი!**

**ესეც 70!**

**ესეც საიუბილეო კრებულის გარეკანი იუბილარის ავტოპორტრეტით.**

**ბევრი მადლობა კოლეგასა და მეგობარს მანანა კარტოზიას, რომელმაც ისევე როგორც 20 წლის წინათ, კვლავაც წიგნის გამოცემით გადაწყვიტა პაატა ნაცვლიშვილის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. როგორც საგამომცემლო პროექტის ხელმძღვანელმა, მან ერთდროულად იტვირთა ორგანიზატორის, საიუბილეო კრებულის შემდგენლისა და მთავარი რედაქტორის ფუნქციები. ვსარგებლობ შემთხვევით და დაგვიანებით ვულოცავ მანანას დაბადების 65-ე წლისთავს.**

ბევრი მადლობა კრებულის პროდიუსერებს – ჩემს მეგობრებს: ვახტანგ აბაშიძეს, მამუკა თავხელიძეს, ტარიელ შავერდაშვილსა და კახა შენგელიას. მათი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ეს წიგნი ვერ დაიბეჭდებოდა.

ბევრი მადლობა კრებულის გამოცდილ და უაღრესად სანდო რედაქტორს ელზა ნაზახტეველს. ბევრი მადლობა წიგნის დამკაბადონებელს, თავისი საქმის ნამდვილ დიდოსტატს მაკა ცომაიას. მე ვამაყობ მათთან მეგობრობით და მრავალწლიანი თანამშრომლობით.

ბევრი მადლობა „სეზანის“ მთელ გუნდს, რომელთანაც ასევე მრავალწლიანი და მრავალმხრივი თანამშრომლობა მაკავშირებს. ვულოცავ „სეზანს“ ახალსახლობას და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებ!

ბევრი მადლობა იმ 38 ავტორს, ვინც ამ კრებულშია წარმოდგენილი თავ-თავიანთი კოხტა, დახვეწილი, ინფორმაციითა და ემოციით გაჯერებული ტექსტებით. თითოეული ეს ტექსტი პატივისცემით, სიყვარულითა და თანალმობით არის გამორჩეული, მერე რა, რომ ერთში პაატა ნაცვლიშვილს მაწანწალად მოიხსენიებენ და მეორეში – უკმეხად. მესამეზე არაფერს ვიტყვი, – ვისაც აინტერესებს, თავად ნახავს.

თარიღთან დაკავშირებულ წიგნში სულაც არ მეჩვენება უჩვეულოდ, რომ ავტორები არა ანბანის რიგზე, არამედ ასაკის მიხედვით ჩამწკრივებულან და ასე რიგრიგობით იხსენებენ იუბილარის ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს, განიხილავენ და განსჯიან მას თითოეული მათგანისთვის ყველაზე ახლობელი თუ საინტერესო ბევრი სხვადასხვა კუთხით.

ყველაზე უფროსი ავტორთა შორის პაატა ნაცვლიშვილის ყოფილი ლექტორი გახლავთ, 83 წლისა, ხოლო უმრწემესი – მისი ამჟამინდელი მაგისტრანტი, პირველზე 60 წლით უმცროსი.

ამ 60-წლიან შუალედში მოქცეულა ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, ქვეყნისთვისაც ძვირფასი ხალხი – აკადემიკოსებით დაწყებული და სტუდენტებით დამთავრებული.

სიამაყით და მადლიერებით ჩამოვთვლი მათ სახელებს კრებულისმიერი თანმიმდევრობით: ლადო მინაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, გვანჯი მანია, თენგიზ ფიფია, ნუგზარ რუხაძე, ივანე ჯაფარიძე, ლევან ბრეგაძე, რაულ ჩილაჩავა, ავთანდილ გურასაშვილი, ვალერი ასათიანი, ნანა გოგოლაშვილი, ვასილ ბესელია, ბაზუა ალუდაური, ავთანდილ არაბული, სამსონ ლეჟავა, ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი, იოსებ ჟორდანია, ოთარ ჯანელიძე, გია მურღულია, ნინო ხარაზიშვილი, ზურაბ აბაშიძე, მიხეილ ანთაძე, გია ბუღაძე, ვანო ამირხანაშვილი, დავით კაკაბაძე, ბონდო ქურდაძე, ბიძინა ბარათაშვილი, კახა სიორიძე, ნანა იოსელიანი, კახა სიხარულიძე, ელენე პეპი ბოჭორიშვილი, მზია აბრამია-დეი, ლევან თაქთაქიშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ეკატერინე ტოგონიძე, მაკო ცირეკიძე, ელენე მარგალიტაშვილი, სალომე გორგოშიძე და გვანცა ექიზაშვილი.

კიდევ ერთხელ ბევრი, ძალიან ბევრი მადლობა მათ!

ჩემი ძველისძველი მეგობარი ავთო გურასაშვილი ვერ მოესწრო ამ კრებულს. შორეული მოგონებებით დახუნძლული თავისი წერილი მან ხუთი წლის წინათ, ჩემი 65-ე წლისთავის აღსანიშნავად დაწერა და ჟურნალ „ოლიმპიელში“ მომიტანა დასაბეჭდად. მე კი არათუ საიუბილეო წერილი ჩემზე, ჩემი ერთი ლექსიც კი არ დამიბეჭდავს იმ გაზეთსა თუ ჟურნალში, რომელიც სარედაქტოროდ მანდეს. შევინახოთ-მეთქი ეს წერილი მომდევნო თარიღისთვის, – ვუთხარი მაშინ ავთოს და აჰა, მანანა კარტოზიას თანხმობით, ავთო გურასაშვილი ამ კრებულში როგორც ცოცხალი ავტორი, ისე მონაწილეობს.

წიგნი სტამბაშია და პრეზენტაციის დღე ჯერ არ არის დადგენილი. ადგილი კი ცნობილია: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი. ბევრი მადლობა მის ხელმძღვანელობას ასეთი თანადგომისათვის. პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმთან თანამშრომლობით ლიტერატურის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში ძალიან მალე გაიხსნება ჩემი პოლიგრაფიკული ნამუშევრების რეტროსპექტიული ექსპოზიცია სათაურით „პაატა ნაცვლიშვილი, როგორც ასეთი – პაატა ნაცვლიშვილი, როგორც ისეთი“.

ხოლო საიუბილეო წიგნს – აქ დადებული გარეკანიდანაც ჩანს – „ბევრი პაატა ნაცვლიშვილი“ ჰქვია. სიბევრისა დაე, სხვებმა თქვან, მე კი სიბერისას ვიტყვი: 70 წელი სულაც არ ყოფილა ისეთი ბევრი, როგორიც შორიდან ჩანდა!

მოკლედ, ერთი ჩემთაგანი 70 წლისა მოიყარა. დანარჩენები – სხვადასხვა ასაკისანი, მაგრამ მასზე უმცროსები, – ვულოცავთ მას იუბილეს. თუმცა რა არის აქ მოსალოცი, ძნელი სათქმელია! წიგნი კი მართლა მოსალოცი ამბავია და მართლა ძალიან ბევრი სიამოვნებით მივიღებთ მოლოცვებს.

დარწმუნებული ვარ, ბევრი სიამოვნებით მიიღებს მოლოცვებს ნინო სხირტლაძეც – ჩემი მეუღლე, რომელმაც, მანანა კარტოზიას დაჟინებული თხოვნით, ეს საიუბილეო კრებული მის მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული ჩემი 70 ფოტოთი დაამშვენა.

ამ პატარა ოპუსში გამოხატულ ჩემს მადლიერებას ნინოც უერთდება ჩვენს ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად, ყველა ჩვენს ახლობელსა და კეთილისმსურველთან ერთად.

კიდევ ერთხელ ბევრი მადლობა ყველას, ვისაც ჩემი სიბე(ვ)რე არ ეცოტავება და შეუმჩნეველი არ დარჩება.

**პაატა ნაცვლიშვილი**

16 ოქტომბერი, 2022

**რედაქციისაგან:**

**გთავაზობთ ერთ წერილს წიგნიდან „ბევრი პაატა ნაცვლიშვილი“.**

---

# ქართველი, რომელმაც წარუშლელი კვალი გაავლო თავისი სანუკვარი ერის სულიერებას!

## პაატა ნაცვლიშვილი ჩემი ცნობიერების ნაკადში

**ჯეკ ლონდონს მიიდება ხოლმე, შევადარო, ოღონდ, ქართველთათვის უფრო მეტია პაატა ნაცვლიშვილი, ვიდრე ჯეკ ლონდონი ამერიკისა და მისი ანგლიკანური სულის უკვდავებისთვის.**

ხანდახან ვფიქრობ, პაატა რომ მეზღვაურად არ ქცეულიყო მაშინ, დროებით, და გემბანის ხეხვაში ადენილი სურნელით არ გაჟღენთილიყო მისი ხიფათისმაძიებელი ყმაწვილკაცობა, ალბათ, ახლა ამის დაწერის სიამოვნებასაც ვერ ვეღირსებოდი, რადგან არ იქნებოდა ის, რაც ახლა არის. არადა, იმდენი რამ არის, ერთდროულად, ეს ამოსაცნობად ძნელი კაცი, და იმდენ შრედაა მის ტვინსა და სულში დალაგებული თავისი მომხიბლავი Enigma, რომ ვერც კი გამიგია, როგორ იტევს მისი ტანი, თავი და გული ასეთი თავბრუდამხვევი სულიერი და ინტელექტუალური ძალისხმევის სიჭრელესა და სიუხვეს.

კი არის სელფმეიდმენი, მაგრამ ნაღდადაა ღმერთი მის ასეთ კაცად შექმნაში ჩარეული. აბა, ასე მაგრად წამახვილებულ ამდენ წახნაგს ვინ მისცემდა მას უფლის გარდა, თუმცა, თვითონაც იმ ბუნებისა და ჟინისაა, რომ, ღმერთთან ერთად, თავადაც ძერწავდა თავისავე თავს მისხალ-მისხალ და ნაბიჯ-ნაბიჯ. ეს რომ არა, ვერაფრით ვერ მივიდოდა იქ, სადაც ახლაა, თან, ისეთი, როგორც არის: ჯიუტი, მართალი, მოკრძალებული, ნიჭიერი, გონიერი, დაფიქრებული, ცნობისმოყვარე, შემტევი, კირკიტა, კეთილი, მოწყალე, გულმხურვალე, სულმდიდარი და სიკეთის ტრფიალი, დინჯიც რომაა და ჩქარიც, მორჩილიც და ბობოქარიც, ნორჩიც და ჭარმაგიც, მშვიდიც და მღელვარეც, თავმდაბალიცა და ამბიციურიც, მკაცრიც და მიმტევებელიც, გულღიაც და გულჩათხრობილიც, ჩვილიც და ბებერიც, მეტყველიცა და მუნჯიც...

ეს ქება-დიდება, ალბათ, სხვასაც შეამკობდა, მისნაირ კაიკაცს, მაგრამ ერთს კი არა, რამდენიმეს ერთად აღებულს, თუმცა, პაატასავით არავის დაამშვენებდა და მისებური ღირსებითა და მოკრძალებით ვერავინ ატარებდა ამ ეპითეტებს ამდენი ხალხის დასანახად.

ამდენს იმიტომ ვამბობ, რომ მთელი საქართველო მისი მეგობარი, მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი, გულშემატკივარი და ჭირისუფალია, და მაინც ვერ გაძლა სამშობლო მისი ნაღვაწითა და ნაოფლარით, მისი სტროფითა და რითმით, მისი დაფითა და ნაღარით, თუ მისი სიბრძნითა და შეგონებით.

პაატა ნაცვლიშვილი საქართველოს განძიცაა და ქართული ეროვნული ისტორიულ-კულტურული სიმდიდრის მატარებელიც მისი ოდნავ მოხრილი, მაგრამ კლდესავით მტკიცე მხარბეჭით. ეს ბიჭი მუდმივ ძიებასა და კვლევაშია, თითქოს, აქამდე არაფერი იცოდა და მხოლოდ ახლა გაახილა თვალი. ის ვერასოდეს ვერ გაჩერდება. რომც გაჩერდეს, მაინც მოძრაობაში იქნება. ვერც ვერასდროს ვერ დანაყრდება სიცოცხლისა და ადამიანის სიყვარულით, ოცნებითა და ცაში ფრენით, წიგნითა და კალმით, ცოდნითა და აღმოჩენით, ულევისწევითა და შუბლზეგადამსკდარი ოფლით, წურწურით რომ ჩამოსდის და შესაშრობად რომ ვერ იცლის. ისე, იღბალი მქონიაო, პაატა ნაცვლიშვილმა უნდა თქვას: მთელი მისი ცხოვრება, ღვთის ნებითა და წყალობით, თუ თანდაყოლილი სწრაფვით მიზნისკენ, მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც უყ-

ვარდა, მოსწონდა, ახალისებდა და ხელეწიფებოდა, თან, აკეთებდა თავგანწირულად, უდრტვინველად, შესაშური ინტერესითა და ბავშვური გატაცებით.

ნატვრა თუ მოგიწია კაცს რამის, პაატა ნაცვლიშვილისნაირი ძმა და მეგობარი მომეციო, უნდა ინატრო, თუ გინდა რომ ჭირშიც და ლხინშიც წელგამართულმა და შუბლგახსნილმა იარო მასთან ერთად. დაეცემი, — წამოგაყენებს; მოგწყურდება, — დაგარწყულებს; მოიწყენ, — გაგაცინებს; შეშინდები, — გაგამხნევებს. ცრემლსა და სისხლს ისე მოგბანს, არაფერს გატკენს. არც არაფერს დაგზარდება, არ დაგაყვედრის, მადლს იზამს და ზედ იმდენ მარილს მოაყრის, რომ სიცოცხლის ბოლომდე შეგინახავს იმედად. ჰოდა, მეც მქონია ბედი და მეც მერგო მასთან ძმობის სხივი და სიტკბო. ბევრი გვივლია ერთად საქართველოშიც და უცხოეთშიც: პოლონეთით დავიწყეთ, ათენში, ლონდონსა და რიო-დე-ჟანეიროში ვიოლიმპიადეთ და ბოლოს ამაზონის ჯუნგლებშიც აღმოვჩნდით ერთად. კიდევ კარგი, რომ განგებამ არ გადაგვმალა ერთმანეთისგან და იმ დროს შეგვყარა, კაცმა მართლა რომ იცის კაცის ფასი და მოყვასის ზომა-წონა. ტექნიკურად ტრილინგვისტმა, იმდენი სთქვა სამივე ენაზე, რომ ვერცერთი პოლიგლოტი ვერ მოახერხებდა, ენადაც რომ გაკრეფილიყო, მაგრამ სულ სხვაა მისი ქართული — გამორჩეული, დახვეწილი, მისაწვდომი, ალესილი ხმალივით ბასრი და გულისძარღვზე პირდაპირ მიბმული.

ნეტაი, მის შეგირდებს, პირდაღებულნი რომ უსმენენ, და თვალსა და ხელს შუა რომ იგეშებიან მისი ცოდნის მორევსა და ნაფრქვევ აზრთა თქეშში. თავადაც რომ მარადიული მოსწავლეა, ესაა საქმე! ინგლისურად რომ მათქმევინებს ხოლმე რაღაცას, ისე ებადრება სახე და ისე აენთება თვალები, გეგონება, უკეთესი არაფერი გაეგონოს მანამდე, თან, არ დაგიმალავს, რომ უხარია და იწოვს მომენტალურად ახალ ცოდნას ლინგვისტურად მოჭიმულ-მომართული. არც იცის, ალბათ, რა სიხარულითა და სიამოვნებით ვთარგმნე და მოულოდნელად მოვახვიე თავს მისი ერთი ურთულესი ნაკალმევი, მისი „ვეფხისტყაოსანი“, ერთ დიდ უწერტილო წინადადებად რომ უბოძა წიგნის მკითხველთა მრევლს.

ადვილად კი ვერ იტყვი, რანაირი ხასიათი აქვს! უბრალო გამარჯობას რომ გეუბნება, მაშინაც კი სახეზე აწერია ფიქრთა სიმრავლე. ვინ იცის, რამდენჯერ გამიელვა კითხვამ მასთან შემთხვევითი შეხვედრისას, ნეტა, ახლა, რა უტრიალებდა თავში ისეთი, რომ ამ სალამზე მეტი ღირდა-მეთქი, და თვალი რომ ამერიდებინა და მიმეშვა მისთვის, ნეტა სადამდე მიიყვანდა იმ ფიქრთა მდინარება? ყველაფერს რომ თავი დაანებო, იმდენად სუფთაა იმ ფიქრებში და იმდენად ჩაწნული თავის ინდივიდუალიზმში, რომ მისი ხელის ხლება არ შეიძლება ახირებულად. შეიძლება ეტკინოს და არ გითხრას. არა, თავს იმიტომ კი არ შეიკავებს თქმისგან, რომ ზედმეტად მორცხვი და მორიდებულია, არამედ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეცლება მაშინ შენთვის — ის ფიქრი აქვს საფიქრალი, კინაღამ რომ გააწყვეტინე... და მიდის თავის გზაზე თავისი განუყრელი ზურგჩანთით, წიგნებით, ჩანაწერებითა თუ შთანაწერებით და მაშინდელი ნააზრევის აღსაბეჭდად წინასწარ მომარაგებული ქაღალდით, კალამ-კალმისტრითა თუ თავისი მრავალქვეყანამოვლილი ლეპტოპითა თუ ფოტოაპარატით. თავში რომ აღარ ეტევა ხოლმე ნაფიქრალი, შეიძლება, გზაში გაუმეოროს თავის თავს, ხშირად — ლექსად. მერე, თუ მიასწრო სახლში, ჩასაწერად, ხომ კარგი. თუ არა და, ლექსად საქცევი ფიქრის მეტი რა მოუვა იმ უცნაურად გამოტენილ ჭკუის კოლოფში!

ერთი, ვიცოდე, მისმა ცოლ-შვილმა თუ იცის, რა სანთლისა და საკმეველის ნაღვენთი სდის ამ სხვანაირი კაცის ტვინის ხვეულებს? ეცოდინებათ! თავის ჯიშისა და ყაიდისა ჰყავს ცოლიცა და შვილიც, და ის კაი ბიჭიც, ვინც შვილიშვილი აჩუქა, სანუკვარი და გულისწასვლამდე საყვარელი. იმ სახელოსნოს სუნსა და ფერში რომ არ გაზრდილიყო, მამამისისა რომ ერქვა, შეიძლება, არც ასეთი პაატა ყოფილიყო და არც ასეთი ნაცვლიშვილი. ნეტა მის დედ-მამას დაანახა ახლა, როგორია მათი პაატა და, ნეტა ეს ჩემი ნაჯღაბნი წააკითხა მათ! ნეტა, რას იფიქრებდნენ? ხომ იტყოდნენ, ასე როგორ იმოქმედა ჩვენმა შვილმა ამის დამწერზე, და ასე როგორ ჩაახედა საკუთარ სულშიო. თუ აღიარებდნენ, ნეტა, მართალი რომ ვარ? რომ მკითხოს



ვინმემ, პაატა ნაცვლიშვილი ვინ არისო, პირდაპირ და დაუფიქრებლად, შეიძლება, ვერც გავცე პასუხი. ამ დროს, ვიცნობ გადასარევად.

**რომელიმე ერთი საქმით მისი წარმოჩენა სიძუნწე იქნებოდა მისი ნაშრომ-ნაღვაწის შეფასებისას: ჟურნალისტი ან სპორტული ჟურნალისტი — მეცოტავება; მწერალი და პოეტი — ბოლომდე არ ამბობს სათქმელს; საქართველოს მომავლის მწვრთნელი და მასწავლებელი — არ მაკმაყოფილებს; ჩვენი დროის მაგელანი — რა სალაპარაკოა; გამომცემელი, კრიტიკოსი, რედაქტორი და პუბლიცისტი — რაღაცას აკლებს; საზოგადო მოღვაწე — მეპატარავება; ქვეყნის წარსულის მკვლევარი და მემატიანე — მეტი ერგება; თავისი თაობის ღირსეული ლიდერი — კი ბატონო, მაგრამ არ კმარა. ამიტომ, არ ვიჭყლეტ ახლა ტვინს პაატა ნაცვლიშვილის რანგირებასა და მის წარდგენაზე საზოგადოებისთვის. მარტივად მოვნათლავ ასე: ქართველი, რომელმაც ღრმა და წარუშლელი კვალი გაავლო თავისი სანუკვარი ერის სულიერებას!..**

ახლა საძმოს ჰკითხე, როგორია. თვალშიც რომ ჩაუვარდეს, არც ერთი არ ამოისვამს ხელს. არც დაფიქრდება არავინ, ისე იტყვის, იყოსო იქ. სულ არ მიკვირს, რომ სამყაროს მიმართ ასეთი მშვიდია და კეთილი განწყობით სავსე. ეს ეხმარება სწორედ ამდენი საქმის კეთებასა და ამდენი ადამიანური და შემოქმედებითი ვალის გამკლავებაში. ავის გულში გატარების არც დრო აქვს, არც თავი. აუუუ, რა შეასრულებს მის გეგმებსა და რა გამოლევს მის აწი საკეთებელ საქმეებს!

რა ქნას ახლა ღმერთმა, რამდენი სიცოცხლე მისცეს, რომ ნაცვლიშვილს ეყოს საქმის მოსათავებლად! პურღვინოშიც უბადლოა. ისე დაგლოცავს ხოლმე, მართლა მოგემატება წლები, მაგრამ სადღეგრძელოშიც ზომიერი და თავშეკავებული, გაფიქრებინებს, აქაც ხომ არ ენანება დრო, თუმცა, თანამეინახის იმ ლაკონიკაშიც მიმზიდველია — ცოტაში ისე ჩაატევს ბევრს, რომ ჩაწერა მოგინდება, რომ გულიდან არ გადაგვარდეს. მაინც, როგორ გამოზარდა ამ კაცმა თავისი თავი ასეთი ინდუსტრიული სიზუსტითა და დროის ასეთი ფრთხილი შეგრძნებით? მისი სიტყვა-პასუხი, ძიების უნარი, სამშობლოს განცდა, სხვა ერთა და კულტურათა თაყვანისცემა, მისი კულტურა, თანამედროვეობა და ტრადიციულობა, მოყვასი მასში, მისი საქციელი და ჩაცმა-დახურვის სტილი, მისი მანერა, მისი თეთრი წვერი, ადამიანური სიგრძე და განი, სათნოება და უნარი სიყვარულისა, მისი ბიბლიოთეკა, სულიერი სიღრმე, ღვაწლი, ოსტატობა, გარეგნობა, ოფიციოზის ზიზღი, მისი თბილისი, მისი საჯარო, მისი ფლორა, მისი ფაუნა, მისი ფილატელისტური თუ ნუმიზმატური ფორიაქი, მისებური სტიქია თავისი თოვლით, წვიმით, ქარით, ვნებით, სიცივით, სიცხით, თავისი თამარითა და აღმაშენებელით, ომითა და მშვიდობით, ნათენები ღამეებითა და ოლიმპიური თამაშებით — ძეგლი დამიდგითო, გვილაღადებს და შემოგვძახებს ეს ყველაფერი. აკი, დაიდგა კიდეც თავისივე ხელით, თავისი სტროფითა და სტრიქონით, თავისი ნიჭითა და გაქანებით, ზოგადსაკაცობრიო იდეალთა საკუთარი მკერდით დაცვით, ადამიანის სამსახურში დაღლილმა და დამშვრალმა პაატა ნაცვლიშვილმა!

პატრიკ, ტკბილო, მეც შენსავით ვარ ზუსტად, შენივე ბუნებისა და მიდრეკილების: არაფერს ზედმეტს არ ვიტყვი, როცა კაცს ვაქებ თუ ვაძაგებ, არ გადავაჭარბებ, მოვზომავ ისე, როგორც ეკადრება და მეკადრება, აზრს ავწონ-დავწონი და სიტყვას, თქმამდე კალმის წვერზე წამოცმამდე, ასჯერ გავიტარებ გონსა და გულში, რომ მისთვის თვალებში შეხედვისას, თავის დაღუნვა არ მომიხდეს. ვიცი, რომ შენი თვალში ყურება მეთამამება და მიხარია, რადგან წმინდაა და ანკარა ეს ჩვენი სულიერი მიმოცვლა, და ვაჟკაცურია ერთმანეთისთვის გაწვდილი ხელი. მაგ თბილსა და ფაქიზ გულთან მიიტანე ყველაფერი, რაც გითხარ, და დაიჯერე, გემუდარები! უბედნიერეს კაცად იგრძნობ თავს, რომ იცოდე თუ რამდენად გულწრფელი და ალალია ჩემი ერთგულება და სიყვარული შენს მიმართ.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**2022 წლის 22 აგვისტო**



# „შემოდგომის თბილისი“ დასრულდა

**30-ე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტით დაიხურა. კონცერტი ანსამბლის დამაარსებლის, ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.**

საღამოზე წიგნის „ანზორ ერქომაიშვილი — სამადლობელი“ პრეზენტაციაც გაიმართა, რომელსაც 4 CD-დისკი მოჰყვება და თავად ანზორ ერქომაიშვილის მიერ შესრულებული სიმღერები ანსამბლის სხვადასხვა თაობის მომღერლებთანაა ჩაწერილი.

წიგნის შემდგენელი ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ნატროშვილია.

# ჯონ ლენონის უკანასკნელი წერილი...



**ლეგენდარული მუსიკოსის, ჯონ ლენონის უკანასკნელი წერილი აუქციონზე Gotta Have Rook and Rokk გაიყიდა.**

ანონიმურმა მყიდველმა The Beatles-ის წევრის წერილი 63 750 დოლარად შეიძინა. წერილი საბეჭდ მანქანაზეა აკრეფილი, მისი ადრესატი კი ლენონის ბუღალტერია.

# შარიათმა დაიგვიანა



**ცნობილმა მწერალმა სალმან რუშდიმ თავდასხმის შემდეგ ცალ თვალში მხედველობა დაკარგა, ხოლო ცალი ხელი პარალიზებული აქვს.**

ენდრიუ უაილიმ, მწერლის აგენტმა, ესპანურენოვან გაზეთ EI Pais-ს განუცხადა, რომ რუშდის კისერზე სამი მძიმე ჭრილობა აღენიშნებოდა.

**„კიდევ 15 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული გულმკერდისა და ტანის არეში. ეს იყო სასტიკი თავდასხმა“,** — აღნიშნა რუშდის აგენტმა.

მან მედიასთან საუბარში არ გაამხილა რუშდის ადგილსამყოფელი.

**„ის იცოცხლებს და ახლა ეს ყველაზე მთავარია“,** — დასძინა მან. უაილიმ გაზეთს განუცხადა, რომ თავდასხმა „ბიტლზის“ წევრის ჯონ ლენონის მკვლელობას ჰგავს. შეგახსენებთ, 75 წლის რუშდი 12 აგვისტოს ნიუ-იორკში, ერთ-ერთ უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას დაჭრეს. მისმა აგენტმა განაცხადა, რომ მას დაზიანებული ჰქონდა ღვიძლი, მას ასევე დაზიანებული ჰქონდა თვალი. თავდამსხმელი 24 წლის ჰადი მატარია.



**უკრაინაში რუსული აგრესიის ფონზე, ესპანეთმა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გასაძლიერებლად ბულგარეთსა და რუმინეთში 14 გამანადგურებელი თვითმფრინავის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო.**



# ნატო აღმოსავლეთ ფლანგს აძლიერებს!

**გარდა ამისა, ოფიციალური მადრიდი ექვს Eurofighter-ის თვითმფრინავსა და 130 ჯარისკაცს ბულგარეთში, ადგილობრივი ძალების საწვრთნელად, ნოემბრის შუა რიცხვებისა და დეკემბრის დასაწყისის პერიოდში გააგზავნის.**

**გარდა ამისა, ესპანეთის რვა F18M საბრძოლო თვითმფრინავსა და საჰაერო ძალების 130 პერსონალს რუმინეთში ნატოს „რეაქციისა და შეკავების“ სტრატეგიის ფარგლებში გაგზავნის.**

**როგორც თავდაცვის უწყება დასძენს, 17 ოქტომბრიდან რუმინეთში განლაგებულია შორი მოქმედების საჰაერო სათვალთვალო რადარი, რომელიც ქვეყანაში შესაძლოა 2023 წლის ივნისის ბოლომდე დარჩეს.**

როგორც ცნობილია, ესპანეთმა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, 12 საბრძოლო თვითმფრინავი ნატოს აღმოსავლეთ წევრ სახელმწიფოებში – ბულგარეთში, ლიეტუვასა და ესტონეთში უკვე გაგზავნა. ოფიციალური მადრიდის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ნატოს უპრეცედენტო გადაწყვეტილება. ალიანსის თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ნატო უკრაინას უმოკლეს დროში დრონების საწინააღმდეგო აღჭურვილობას მიაწვდის, რაც ხელს შეუწყობს რუსული და ირანული წარმოების დრონების მწყობრიდან გამოყვანას.

გადაწყვეტილება მიღებულია, რომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები უკრაინას იმდენად სწრაფად გადაეცემა, რამდენადაც ეს ფიზიკურად არის შესაძლებელი, მათ შორის დამატებითი საბრძოლო მასალა. პარალელურად, ესპანეთი ნატოს აღმოსავლეთ ფლანგს აძლიერებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბულგარეთი, რუმინეთი და მათ შორის ლიეტუვა რუსული საფრთხის წინაშე დგას.

სამხედრო ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ ესპანეთს, როგორც ნატოს წევრ სახელმწიფოს, წვლილი შეაქვს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

**„ვითარება უაღრესად კრიტიკულია. ომია უკრაინაში. რუსეთი ემუქრება როგორც პოლონეთს, ასევე ლიეტუვას, რომ პირდაპირ შეიჭრება და მოახდენს მათზე პირდაპირ სამხედრო აგრესიას. რა თქმა უნდა, ნატო იღებს შესაბამის ადეკვატურ ზომებს.**

**ესპანეთი არის ნატოს განუყოფელი ნაწილი, შესაბამისად, აქ აბსოლუტურად ლოგიკურია ყველაფერი“.**

**„მოგეხსენებათ, რომ ვიმყოფებოდი პოლონეთში, სადაც ჩემი კოლეგები, ექსპერტები და მედია-საშუალებები სერიოზულად განიხილავენ პირდაპირ რუსულ სამხედრო აგრესიას.**

**საფრთხე სერიოზულია, რომ რუსეთი შეიჭრას პოლონეთში, ასევე ლიეტუვაში, მით უმეტეს არის სუოკის დერეფნის პრობლემა, რომელიც ბელორუსს აერთიანებს კალინინგრადის მხარესთან.**

**ბელორუსმა და რუსეთმა შექმნეს კოალიციური სამხედრო გაერთიანებული ძალები, აძლიერებენ თავიანთ სამხედრო პოტენციალს და ბუნებრივია, ეს ყველაფერი აღიქმება ლიეტუვაში და პოლონეთში როგორც სამხედრო აგრესიის ერთ-ერთი წინაპირობა.**

* * *

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** თვლის, რომ ესპანეთის გადაწყვეტილება არის გაძლიერება ნატოს აღმოსავლეთისა, რომ არ მოხდეს გარკვეული ანექსიის მსგავსი ქმედება რუსეთის მხრიდან. მისი თქმით, მაღალი ალბათობით, არსებობს ოპერატიული მონაცემები იმის შესახებ, რომ გარკვეული სტრატეგიული გეგმები მიმართული არის პოლონეთისკენ.

**„ეს არის სადაზვერვო ინფორმაცია, რომლითაც საფრთხე ექმნება ნატოს, შესაბამისად იმ ქვეყანას, რომელზეც ვსაუბრობთ. აქედან გამომდინარე, მიღებული არის პრევენციული ღონისძიება, რომ არ განხორციელდეს აგრესია. საფრთხე არსებობს არა მარტო ნატოს სახელმწიფოებთან და ევროპასთან მიმართებაში, არამედ საფრთხეები არსებობს სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში.**

**„საფრთხეები არსებობს და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიდგომები. აგრესორი რუსეთი, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს, ყველაფერზე მიდის. თუ მან კრახი განიცადა უკრაინაში, ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს რუსეთის ხელისუფლების ლიკვიდაციას. ამიტომ, ამ საფრთხის წინაშე მყოფი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მიაღწიოს იმ მიზანს, რაც დაგეგმილი ჰქონდა.**

**ვფიქრობ, რომ საფრთხის მასშტაბები კიდევ უფრო მაღალია. ამ შემთხვევაში, თუ ევროპული სახელმწიფოები მეტ-ნაკლებად დაცულად გრძნობენ თავს ნატოდან გამომდინარე, ჩვენ, სამწუხაროდ, ამის ფუფუნება არ გაგვაჩნია. არა მარტო ჩვენ, არამედ აზერბაიჯანს და სომხეთს და მათ შორის ბევრ ისეთ ქვეყანას, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეს წარმოადგენენ. ამიტომ, ვფიქრობ, რეაგირების ზომა არის სწორი და დროული“,** – აცხადებს დავით კუხალაშვილი.

**თამთა ქარჩავა**

---



## ფიცი მწამს, ანუ ზელენსკის შოუ...

**„დღეს ზუსტად რვა თვე გავიდა სრულმასშტაბური ომის დაწყებიდან. რას მივაღწიეთ?**

**ჩვენ დავიცავით ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ამას რუსეთი ვერ შეცვლის. ჩვენ ეტაპობრივად ვათავისუფლებთ უკრაინის მიწას. მოვა დრო და მთელი უკრაინა თავისუფალი იქნება. უკრაინა ამსხვრევს მსოფლიოს ე.წ. მეორე არმიას და ამიერიდან რუსეთი მხოლოდ მთხოვნელი იქნება. ის რაღაცას ევედრება ირანს, ცდილობს დასავლეთის სახელმწიფოებიდან რაღაც მიიღოს.**

**რუსეთის პოტენციალი ჩვენი სახელმწიფოსა და მთელი თავისუფალი სამყაროს წინააღმდეგ ომში იხარჯება. იყო გაზის გავლენა – ახლა არ არის. იყო სამხედრო გავლენა – ახლა ის აორთქლდება. იყო პოლიტიკური წონა – ახლა იზოლაციაა. იყო იდეოლოგიური ამბიციები – ახლა მხოლოდ ზიზღი“,** – აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.



## გერმანიის პრეზიდენტი უკრაინელებს აიმედებს

**გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი კიევში ჩავიდა.**

მისი ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, შტაინმაიერი უკრაინის ხელისუფლებასთან არა მხოლოდ იარაღის მიწოდების საკითხს განიხილავს, არამედ ომის შედეგად დაზარალებული ინფრასტრუქტურის აღდგენაში დახმარებაზეც ისაუბრებენ.

**„ჩემი გზავნილი უკრაინელი ხალხისადმი – თქვენ შეგიძლიათ გერმანიის იმედი გქონდეთ“,** – განაცხადა შტაინმაიერმა.

## აშშ რუსეთს აფრთხილებს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ნედ პრაისმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის შედეგები დადგება, თუ ე.წ. „ბინძურ ბომბს“ ან ბირთვულ იარაღს გამოიყენებს.**

კითხვაზე, ეკიდება თუ არა ვაშინგტონი ე.წ. „ბინძური ბომბის“ გამოყენებას ისევე, როგორც ბირთვული ბომბის გამოყენებას, პრაისმა უპასუხა, რომ რუსეთისთვის შედეგები ნებისმიერ შემთხვევაში დადგება. **„იქნება ეს „ბინძური ბომბი“ თუ ბირთვული ბომბი, ჩვენ ძალიან მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ ამას შედეგები მოჰყვება“,** – აღნიშნა აშშ-ის სახელმეწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

## ასე მიამიტნი არიან ირანელები?



ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰოსეინ ამირაბდოლაჰიანმა განაცხადა, რომ ირანი გულგრილი არ დარჩება, თუ დადასტურდება, რომ რუსეთი მის დრონებს უკრაინაში ომში იყენებს.

**„თუ დაგვიმტკიცებენ, რომ უკრაინაში ომში ხალხის წინააღმდეგ ირანული დრონები გამოიყენება, გულგრილნი არ უნდა დავრჩეთ“,** – აღნიშნა ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. თუმცა, ჰოსეინ ამირაბდოლაჰიანმა განაცხადა, რომ თეირანსა და მოსკოვს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა გაგრძელდება.

## მეგობრობა და სტუმარმასპინძლობა პოლონურად

**პოლონეთი უკრაინელი ლტოლვილების დახმარების შესახებ კანონში მნიშვნელოვან ცვლილებებს ამზადებს.**

**რა ცვლილებები იგეგმება 2023 წელს?**

პოლონეთის მთავრობასთან არსებული კანონმდებლობის ცენტრმა უკრაინის მოქალაქეების დახმარების შესახებ კანონში ცვლილების პროექტი გამოაქვეყნა.

შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, 2023 წელს უკრაინელი ლტოლვილები პოლონეთის კოლექტიური განსახლების ცენტრებში ყოფნის საფასურს გადაიხდიან. ასევე, სავალდებულოა PESEL ნომრის (საიდენტიფიკაციო ნომერი) რეგისტრაცია.

შრომისუნარიანი ლტოლვილების დაახლოებით 80%-მა იპოვა სამუშაო პოლონეთში, რაც ნიშნავს, რომ ისინი ფინანსურად დამოუკიდებლები არიან.

კანონში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომ უკრაინელები დაფარავენ ცხოვრების ხარჯების ნაწილს, თუ ქვეყანაში 120 დღეზე მეტი დარჩებიან.

## „რელიგიით მანიპულირებენ“



**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა რუსეთის ფედერაციის მართლმადიდებლურ ეკლესიას მოუწოდა, უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომი არ გაამართლოს.**

მაკრონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკლესია რუსეთის ხელისუფლებას საკუთარი თავის მანიპულირების საშუალებას აძლევს.

**„რელიგიური ლიდერები ასევე ასრულებენ წინააღმდეგობის როლს, როდესაც ამ უგუნური მოვლენის წინაშე დგანან. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ მანიპულირებენ მართლმადიდებლური რელიგიით დღეს ხელისუფლებაში მყოფები ადამიანები რუსეთში. აქ წინააღმდეგობაა საჭირო“,** – აცხადებს საფრანგეთის პრეზიდენტი. ცნობილია, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ღიად უჭერს მხარს უკრაინაში კრემლის მიერ დაწყებულ მასშტაბურ ომს. რუსეთის პატრიარქის კირილის განცხადებით, „ამ ბრძოლაში რუსეთი თავისი ნებით არ შესულა“.

## აფეთქება რკინიგზაზე

**რუსეთის ბრიანსკის ოლქში ბელარუსთან დამაკავშირებელი რკინიგზა ააფეთქეს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული სახელმწიფო სააგენტო „რია ნოვოსტი“ რეგიონის გუბერნატორზე დაყრდნობით ავრცელებს.**

კერძოდ, აფეთქება ნოვოზიკოვოესა და ზლინკას დასახლებებს შორის, სარკინიგზო მონაკვეთზე მოხდა.

გუბერნატორ ალექსანდრ ბოგომაზის ცნობით, დაშავებული არავინაა. არსებული ინფორმაციით, აღნიშნული რკინიგზა რუსეთსა და ბელარუსს შორის სამხედრო გადაზიდვებისთვის გამოიყენება.



# რამ გამოიწვია მაიას ცივილიზაციის დაცემა?

## ახალი კვლევა, რომელიც დღეს გაფრთხილებას ჰგავს



**ახალი კვლევის ფარგლებში, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ახ. წ. XIII-XIV საუკუნეებში, იუკატანის ნახევარკუნძულზე მცხოვრები მაიას ხალხის კულტურული და პოლიტიკური დედაქალაქი მაიაპანი შეიძლება გვალვის გამო დაემხო. მკვლევართა განცხადებით, ამ გვალვას უნდა გამოეწვია სამოქალაქო კონფლიქტი, რასაც თავის მხრივ, პოლიტიკური კოლაფსი უნდა მოჰყოლოდა.**

**ამის შემდეგ, ხალხი უფრო პატარა და უსაფრთხო დასახლებებში გადასახლდა!**

გარდა იმისა, რომ საინტერესო ცნობებს გვაძლევს უძველესი ხალხის ისტორიის შესახებ, ახალი კვლევა გამაფრთხილებელიცაა: როგორ შეუძლია კლიმატურ ცვლილებებს სწრაფად განახორციელოს წნეხი ყველაზე კარგად დამკვიდრებულ და აყვავებულ ცივილიზაციებზეც კი.

**„მრავალი წყაროს მონაცემი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სამოქალაქო კონფლიქტი; განზოგადებული ხაზობრივი მოდელირება ქალაქში კონფლიქტს აკავშირებს გვალვასთან, რომელიც 1400 – 1450 წლებში მძვინვარებდა“,** – წერენ მკვლევრები პუბლიკაციაში.

მათი აზრით, ხანგრძლივმა გვალვამ გაამწვავა მეტოქეობრივი ჯგუფური დაძაბულობა, მაგრამ შემდეგმა ადაპტაციებმა განაპირობა რეგიონული მასშტაბის გამძლეობა, რამაც მაიას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს იქამდე გაძლების საშუალება მისცა, ვიდრე მე-16 საუკუნის დასაწყისში იქ ევროპელები მივიდოდნენ.

**მკვლევართა ჯგუფმა უკვე მრავალ ისტორიულ ჩანაწერთან იმუშავა, მათ შორის იყო ჩანაწერები მოსახლეობის ცვლილებების, იმდროინდელი ღვთაებების და კლიმატური გარემო პირობების შესახებ.**

**ამ ჩანაწერებს დაემატა ადამიანთა ნეშტებზე ჩატარებული ახალი ანალიზები, რომლებშიც ტრავმატული დაზიანებები შეისწავლეს (კონფლიქტის მანიშნებელი).**

**გამოიკვეთა კორელაცია ამ ზონაში ნალექების რაოდენობის ზრდასა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდას შორის, ნალექების რაოდენობის შემცირებასა და კონფლიქტების ზრდას შორის. მკვლევართა დასკვნით, დიდი ალბათობით, მაიაპანის მიტოვება განაპირობა 1400-1450 წლებში მიმდინარე გვალვამ.**

მკვლევართა ვარაუდით, წყლის ნაკლებობას უნდა დაეზიანებინა სოფლის მეურნეობა და სავაჭრო გზები, რაც დიდი დაწოლა უნდა ყოფილიყო მაიაპანის მოსახლეობაზე. რაც უფრო იშვიათი ხდებოდა საკვები და ვითარება კი მეტად სახიფათო, ადამიანები ან კვდებოდნენ, ან იფანტებოდნენ.

ქალაქის მიტოვებამდე გათხრილ ბოლო მასობრივ სამარხში, მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ბევრი ნეშტი სავარაუდოდ მიეკუთვნება კოკომების (სახელმწიფოს მეთაურები) ოჯახის წევრებს – სისხლიანი დასასრული, რასაც კონკურენტი ჯგუფების გაჩენა და სოციალური არეულობა მოჰყვა.

**„ჩვენი აღმოჩენები მხარს უჭერს მაიაპანის კოლაფსს 1441-1461 წლებს შორის, რაც პოლიტიკური მეტოქეობითა და ამბიციებით გამოწვეულ სამოქალაქო კონფლიქტს მოჰყვა; ეს ყველაფერი შემონახულია იუკატანის ნახევარკუნძულის ხალხის სოციალურ მეხსიერებაში, რომელთა მოგონებებიც ადრეული კოლონიური პერიოდის წერილობით ჩანაწერებში აისახა“,** – წერენ მკვლევრები.

ადამიანთა რეაგირება გვალვის მსგავს გარემოებით ზეწოლაზე აშკარად კომპლექსურია, ცვალებადია რეგიონიდან რეგიონამდე; როდესაც არკვევ, თუ რატომ მოიქცა ასე ან ისე ესა თუ ის ისტორიული ხალხი, გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი.

**იუკატანის სხვა ნაწილებში ხალხის გადაადგილება, მათ შორის აყვავებულ სანაპირო ქალაქებსა და პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქალაქებში, მაიას კულტურა დაეხმარა, რომ მაიაპანის დაცემის შემდეგაც გაეგრძელებინა წარმატებით არსებობა. ესპანელთა მბრძანებლობის დაწყებამდე, ამ რეგიონებს შორის კონფლიქტის ძლიერ მცირე მტკიცებულებები არსებობს.**

მკვლევართა განცხადებით, ეს მოწმობს ადამიანსა და გარემოს მტკიცე ადაპტაციებს; თუმცა, იგივე რეგიონები, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილთან ერთად, დღეს კვლავ დგანან კლიმატის კრიზისის წინაშე.

**„კარად არის შესწავლილი არქეოლოგიური და ისტორიული ჩანაწერები, რათა გაირკვეს თუ რა გავლენას ახდენდა კლიმატის კრიზისი გრძელვადიან ციკლებში საზოგადოებაზე“,** – წერენ მკვლევრები.

მათი განცხადებით, მაიას რეგიონი გვთავაზობს ფართო და ღრმა არქეოლოგიურ, ისტორიულ და კლიმატურ ჩანაწერებს, რომლებიც გადამწყვეტია სოციალურ ცვლილებასა და მერყევ კლიმატურ გარემო პირობებს შორის კავშირების შესასწავლად. კვლევა Nature Communications-ში გამოქვეყნდა.

# წინ წყალი, უკან მეწყერი!..




**დინოზავრების მკვლელმა ასტეროიდმა, რომელიც დედამიწას 66 მილიონი წლის წინ დაეცა, უზარმაზარი ცუნამი გამოიწვია; მისი ტალღების სიმაღლე მექსიკის ყურეში 1,6 კმ-ს აჭარბებდა და ამ წყალმა თითქმის ნახევარი მსოფლიო გადაიარა. ამის შესახებ ახალი კვლევა იუწყება.**

ამ მონუმენტური ცუნამის მტკიცებულება მკვლევრებმა მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც მსოფლიოს ასი სხვადასხვა ადგილიდან აღებული ნიმუშები (კერნი) შეისწავლეს და მექსიკის იუკატანის ნახევარკუნძულზე დაცემული ასტეროიდის შედეგად წარმოქმნილი მონსტრი ტალღების ციფრული მოდელებიც შექმნეს.

**„ეს ცუნამი იმდენად ძლიერი იყო, რომ წარმოქმნის ადგილიდან დედამიწის თითქმის ნახევარი წაიღო და გადარეცხა ოკეანის აუზში“,** – ამბობს კვლევის ავტორი, მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარი მოლი რეინჯი.

**რეინჯმა ასტეროიდის დაცემისთანავე წარმოქმნილი ცუნამის მარშრუტი გაარკვია. ადრეულ აღმოჩენებზე დაყრდნობით, მისმა ჯგუფმა შექმნა ასტეროიდის მოდელი, რომლის სიგანეც 14 კილომეტრი იყო და დედამიწას 43 500 კმ/სთ სიჩქარით შეეჯახა, ანუ, ბგერის სიჩქარეზე 35-ჯერ სწრაფად.**

ასტეროიდის დაცემის შემდეგ, სიცოცხლის მრავალი ფორმა დაიღუპა; გადაშენდნენ არამფრინავი დინოზავრები (დღემდე გადარჩნენ მხოლოდ ფრინველები, რომლებიც ცოცხალ დინოზავრებს წარმოადგენენ) და მოისპო მცენარეულობისა და ცხოველთა სახეობების დაახლოებით სამი-მეოთხედი.

**მკვლევრებმა კარგად იციან ასტეროიდის მრავალი საზარელი ეფექტის შესახებ, მაგალითად, სასტიკი ხანძრების, რომლებმაც ცხოველები ცოცხლად ამობუგა და ააორთქლა გოგირდით მდიდარი ქანები, რამაც სასიკვდილო მჟავა წვიმები და გლობალური აცივება გამოიწვია.**

* * *

დაცემის შედეგად წარმოქმნილი ცუნამის უკეთესად შესასწავლად, რეინჯმა და მისმა კოლეგებმა შეისწავლეს დედამიწის გეოლოგია, ანალიზები ჩაუტარეს 120 „სასაზღვრო სექციას“, ანუ ზღვის დანალექებს უშუალოდ მასობრივი გადაშენების მოვლენის წინ და შემდეგ, რაც ცარცული პერიოდის დასასრულს აღნიშნავს.

ეს სასაზღვრო სექციები დაემთხვა მათი მოდელის პროგნოზებს ტალღის სიმაღლისა და მარშრუტის შესახებ.

**მკვლევართა განცხადებით, დარტყმის შედეგად წარმოქმნილი ცუნამის საწყისი ენერგია 30 000-ჯერ აღემატებოდა 2004 წელს ინდოეთის ოკეანეში მიწისძვრის შემდეგ წარმოქმნილი ცუნამის ენერგიას, რომელმაც 230 000 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.**

**დედამიწაზე დაცემისას, ასტეროიდმა 100 კმ სიგანის კრატერი წარმოქმნა და ატმოსფეროში ატყორცნა მტვრისა და ჭვარტლის სქელი ღრუბელი.**

**სიმულაციების მიხედვით, დაცემიდან სულ რაღაც 2,5 წუთის შემდეგ, ამოტყორცნილ მასალათა ფარდამ წყლის კედელი გარე მიმართულებით გადაწია, მყისიერად წარმოქმნა 4,5 კილომეტრის სიმაღლის ტალღა, რომელიც შემდეგ კვლავ დედამიწაზე დაეცა.**

**10 წუთის შემდეგ, დაცემიდან 220 კილომეტრის მოშორებით წარმოიქმნა დაახლოებით 1,5 კმ სიმაღლის ცუნამის ტალღა, რომელმაც მექსიკის ყურე ყველა მიმართულებით გადარეცხა. დაცემიდან ერთი საათის შემდეგ, ცუნამიმ მექსიკის ყურე დატოვა და ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში შევარდა.**

დაცემის შემდეგ საათებში, ცუნამიმ გაიარა ცენტრალური ამერიკის საზღვაო გასასვლელში, რომელიც იმ დროს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას ყოფდა ერთმანეთისგან და წყნარ ოკეანეში შევარდა.

**ასტეროიდის შეჯახებიდან ერთი დღის შემდეგ, ტალღებმა წყნარი და ატლანტის ოკეანეების უმეტესი ნაწილი გაიარა და ორივე მხრიდან შევიდა ინდოეთის ოკეანეში, 48 საათის შემდეგ კი მსოფლიოს სანაპიროთა უმეტესობამდე მიაღწია.**

**ასტეროიდის შეჯახების შემდეგ, ცუნამი ძირითადად აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით გავრცელდა, შევარდა ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალური ამერიკის საზღვაო გასასვლელით ასევე წავიდა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილისკენ.**

**ამ ზონებში წყალი იმდენად სწრაფად მოძრაობდა, რომ საათში 0.6 კმ-ს აჭარბებდა, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ზღვის ფსკერის წვრილმარცვლოვანი დანალექები გადაერეცხა.**

ჯგუფის მიერ შექმნილი მოდელების მიხედვით, ცუნამის ძალას სხვა რეგიონები გადაურჩა, მათ შორის ატლანტის ოკეანის სამხრეთი ნაწილი, წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილი, ინდოეთის ოკეანე და თანამედროვე ხმელთაშუა ზღვა.

მათმა მოდელებმა აჩვენა, რომ ამ რეგიონებში წყლის სიჩქარე 0,6 კმ/სთ-ზე ნაკლები იყო.

მკვლევართა ჯგუფმა დარტყმის მოვლენის შედეგად მოშიშვლებული ქანების დანალექებიც კი იპოვა, ახალი ზელანდიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კუნძულების აღმოსავლეთ ნაწილში, მექსიკის ჩისკულუბის კრატერიდან (ასტეროიდის დაცემის ადგილი) 7500 კილომეტრის მოშორებით.

* * *

**თავდაპირველად მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ქანების მოშიშვლების მიზეზი ადგილობრივი ტექტონიკური აქტივობა იყო.** თუმცა, მათი ასაკისა და ცუნამის მოდელირებულ მარშრუტში ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მკვლევრები მას ასტეროიდის შედეგად წარმოქმნილ მასიურ ტალღებს უკავშირებენ.

**„ეს დანალექები დარტყმის შედეგად წარმოქმნილი ცუნამის ჩანაწერებია და ალბათ, ყველაზე მეტყველი დასტური ამ მოვლენის გლობალობისა“,** – აღნიშნავს რეინჯი.

მიუხედავად იმისა, რომ მოდელს არ შეუფასებია სანაპირო წყალდიდობები, ცხადყო, რომ ღია ოკეანის ტალღები მექსიკის ყურეში 100 მეტრზე მაღალი უნდა ყოფილიყო, ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის და სამხრეთ ამერიკის წყნაროკეანურ სანაპირო რეგიონებთან მიღწევისას კი ათ მეტრზე მეტი.

გამომდინარე იქიდან, რომ სანაპიროსთან წყალი თავთხელია, ასეთი ტალღები იქ საკმაოდ დრამატული უნდა ყოფილიყო. **კვლევა AGU Advances-ში გამოქვეყნდა.**

**SCIENCEALERT-ის და LIVE SCIENCE-ის მიხედვით მოამზადა მიხეილ ჭაბუკაშვილმა.**

◎ სტუმარი

# ვმასპინძლობთ ექსპერტს

**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალთან დაკავშირებით ბიატლონის ექსპერტს მარკ სენგერს შეხვდა და 2025 წელს ბაკურიანში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ბიატლონის ტრასის მშენებლობის შესახებ ესაუბრა.**

ბიატლონის ექსპერტი მარკ სენგერი საქართველოში სეოკის მოწვევით და საერთაშორისო ბიატლონის ფედერაციის რეკომენდაციით იმყოფება. ის ბაკურიანს სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტთან მამუკა ხაზარაძესთან ერთად ეწვია და მოინახულა ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის დროებითი ტრასის მშენებლობის სავარაუდო ადგილმდებარეობები.

შეხვედრას ესწრებოდნენ სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი **მამუკა ხაზარაძე**, გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი** და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი **რუსუდან აფციაური**.



◎ ლეგიონერი

# დიეგოს ნაკვალევზე

**1986 წელს „ნაპოლიმ" ზედიზედ 11 მატჩი მოიგო, ხოლო მისი ლიდერი დიეგო მარადონა სკუდეტოსთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.**

**ამ მიღწევის პირველი ნაწილი ლუჩანო სპალეტიმ უკვე გაიმეორა და მისი გუნდი დამაჯერებლად ლიდერობს როგორც სერია — ა-ს, ისე ჩემპიონთა ლიგის საკუთარ ჯგუფს.**




აღსანიშნავია, რომ ბოლო გამარჯვება ტრავმირებული დაცვის ბურჯის რაჰმანისა და კრეატიული ნახევარმცველის ანგისას გარეშე მოპოვებული, თანაც სტუმრად თვით ჟოზე მოურინიუს გაწვრთნილ „რომასთან" — 1:0 (ოსიმენი).

რაც შეეხება **ხვიჩა კვარაცხელიას**, მართალია მასპინძელთა მჭიდრო, უხეშობის ზღვარზე მეურვეობამ ჩვეული სილაღით თამაში გაურთულა, მაგრამ სამაგიეროდ სივრცეები გაუხსნა მის პარტნიორებს და ერთ ეპიზოდში ნდომბელემ მსაჯს პენალტიც გამოსტყუა, მაგრამ მოგვიანებით იგი ვიდეორეფერის ვერდიქტით გაუქმდა.

თუმცა, მე-80 წუთზე სამართალმა პური მაინც ჭამა — პოლიტანოს პასით ოსიმენმა მახვილი კუთხიდან გოლი — შედევრი შექმნა.

ისიც სათქმელია, რომ რომაელებს დიბალა აკლდათ, რომელიც, დიდი ალბათობით, კუნთის დაზიანების გამო მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს, მაგრამ ამით სტუმართა წარმატება ოდნავადაც არ ფერმკრთალდება — სტადიო ოლიმპიკოზე მოგება ხომ ყველასათვის ურთულესი საქმეა.

დავძენთ, რომ სპალეტიმ პორტუგალიელი განსაკუთრებული კოლეგა მე-7 ცდაზე პირველად დაამარცხა (მანამდე — 3 ფრე და 3 წაგება).

ამავე ტურში საკუთარ მოედანზე შეფერხდნენ ატალანტა და უდინეზე, ხოლო ნაპოლის უახლოესმა მდევარმა მილანმა აქტივში მორიგი 3 ქულა ჩაიწერა.

29 ოქტომბერს ხვიჩა და კამპანია სასუოლოს დაუხვდება, ხოლო დღეს ჩემპიონთა ლიგაში ასევე შინ გლაზგო რეინჯერსს გამოცდის..

# ორიოდე სიტყვით

ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე ინფორმირებულია ძმები ასანიძეების ტრიუმფის შესახებ.

სიამაყით უნდა ითქვას, რომ ალბანურ დურესში გიორგი ასანიძის, გია ცირეკიძის, მალხაზ ლომთაძის, გიორგი გაბრიჭიძისა და თემურ ჯანჯღავას შეგირდებმა 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის კიდევ ბევრი მედალი მოიხვეჭეს.

**ირაკლი ჩხეიძე** — 3 ოქრო, **მარიამ მურღვლიანი** — ვერცხლი და ბრინჯაო, **ნათია გადელია** — 3 ვერცხლი, **ირაკლი გობეჯიშვილი** — 3 ვერცხლი, **გურამ გიორბელიძე** — ბრინჯაო, **გურამ ვეკუა** — ბრინჯაო.

დავძენთ, რომ ეს ჯილდოები 30 ქვეყნის 350-მდე მეტოქესთან ბრძოლაშია მოპოვებული.

* * *

**ქართველ ფალავანთა გუნდური გამარჯვებით დასრულდა ესპანურ პონტევედრაში გამართული თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი.**

რაც შეეხება პირად ტურნირს, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **გიორგი ელბაქიძე** და **ვლადიმერ გამყრელიძე**, მხოლოდ ფინალი დათმო **სოლომონ მანაშვილმა**, ხოლო **მირიან მაისურაძე** მესამე პრიზიორი გახდა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ასევე ოთხი მედლითა და გუნდური მეორე ადგილით დაასრულეს ფორუმი ჯვაროსანმა კლასიკოსებმა: ვერცხლი — **გიორგი შოთაძე**, ბრინჯაო — **გიორგი თოხაძე, დიეგო ჩხიკვაძე, ბექა გურული.**




* * *

ასევე ოთხი ლაურეატი გვყავს ძიუდოისტთა აბუ დაბის გრანდ სლემზე: ოქრო — **გიორგი სარდალაშვილი, ბექა ღვინიაშვილი**, ვერცხლი — **სოფიო სომხიშვილი**, ბრინჯაო — **ეთერ ლიპარტელიანი**.

სულ ტატამზე 13-მა ჩვენებურმა იჭიდავა.

**ჭადრაკი.** საერთაშორისო ოსტატმა **ნიკოლოზ კაჭარავამ** ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იტალიურ სარდინიაზე დასრულებული 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოს ბრინჯაო ჩამოუტანა.

აღსანიშნავია, რომ ბოლოს მსგავს წარმატებას საუკუნის დასაწყისში **ზურაბ იზორიამ** (2000) მიაღწია, ხოლო 2001 წელს **მერაბ გაგუნაშვილი** ვიცე-ჩემპიონობას შესწვდა.

* * *

**კალათბურთი.** დუდუ დადიანის XIX მემორიალის გამარჯვებული სუპერლიგის დებიუტანტი კავკასია გახდა.

ფინალში **ბექა წიქწიკაძის** შეგირდებმა თსუ დაამარცხეს — 66:54.

◎ ალალ იყოს!

# ნბა-ში პირველად

**წლეულს 31 ივლისს 88 წლის ასაკში გარდაცვლილი ბილ რასელი 13 სეზონის განმავლობაში 11(!)-ჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი და 2-ჯერ „ბოსტონი" ოქროს ბეჭდებამდე მიიყვანა მთავარი მწვრთნელის ამპლუაში. სწორედ მხოლოდ ამ კლუბს უკავშირდება ქარიზმატული ფიგურის სახელი.**



გარდა ამისა, იგი კარიერაში 5-ჯერ აღიარეს რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ, ხოლო 1956 წელს მელბურნში აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიურ ოქროს დაეუფლა.

დაგვეთანხმებით, რომ სავსებით ლოგიკურია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გადაწყვეტილება — ამიერიდან ლიგის ყველა კლუბმა ხმარებიდან ამოიღოს ლეგენდარული ოსტატის კუთვნილი მეექვსე ნომერი.

სხვათა შორის, „ბოსტონმა" თაობათა კერპის სიცოცხლეშივე მიანიჭა სამუდამოდ მეექვსე ნომრის საკულტო პიროვნებას და აწი ვეღარავინ ვეღარ შეძლებს აღნიშნული ნომრით ნბა-ში თამაშს, რაც ლიგის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. გამონაკლისს წარმოადგენენ მოქმედი მე-6 ნომრები, მაგალითად „მეფე" ლებრონ ჯეიმსი.

დავძენთ, რომ 2022-2023 წლების ახლახან დაწყებულ სეზონში ნბა-ს ყველა მოთამაშეს მაისურის მარჯვენა მხარეზე სამახსოვრო სამკერდე ნიშანი დაამშვენებს, თითოეული სარბიელის სათამაშო მოედანზე კი განათავსებენ „სელტიქსის" სიმბოლოს მე-6 ნომრით.

◎ ომი და მშვიდობა

# საზარბაზნე ხორცი



**როგორც ტელეკომპანია რტრ სიტუაციასთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რუსეთში იგეგმება პროფესიონალ სპორტსმენთაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმების შექმნა უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებად.**

აღნიშნული საკითხის მოსკოვში გამართული წინასწარი განხილვის შემდეგ ამ მომენტისთვის სამობილიზაციო პროცესში ძირითადად რეგიონული სპორტული ფედერაციები ჩართვებიან და მათ ამის შესახებ უახლოეს მომავალში აცნობებენ.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელდება და საკმარისი რაოდენობით მოხალისენი შეგროვდებიან, არაა გამორიცხული პროცესში მოსკოვის ფედერაციებიც ჩაებან.

# ნედ პრაისმა ისევ არ იცის საქართველოში რა ხდება!



**ჩვენ ვრჩებით მოწოდებულები, ვიმუშაოთ საქართველოსთან რეფორმების შესასრულებლად, რომლებიც საჭიროა ევროატლანტიკური მიზნების მისაღწევად,** — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა, ნედ პრაისმა განაცხადა.

ნედ პრაისს კითხვა დაუსვეს საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის მიმართ გაკეთებული განცხადებებისა და ასევე განცხადებების შესახებ, რომელთა თანახმად, აშშ საქართველოს ომში ჩართვას ცდილობს.

**„ჩვენ გამოვთქვით ჩვენი შეშფოთება რამდენიმე შემაშფოთებელი განცხადების გამო, რომლებიც, როგორც მოვისმინეთ, გამომდინარეობს საქართველოს პოლიტიკური სისტემისა და ქართული საზოგადოების გარკვეული კუთხეებიდან. ჩვენ გამოვთქვით ჩვენი შეშფოთება მთავრობის ზოგიერთი ქმედების გამო. მთავრობის ქმედებებმა, მათ შორის მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმების შეჩერებამ ან უკუსვლამ, შექმნა პრობლემები. მათ შექმნეს უკუსვლები ევროკავშირის წევრობისკენ ქართველი ხალხის მკაფიო, უძლეველი სწრაფვისთვის და უფრო ფართოდ ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის. ამ ქმედებების გამო ჩვენ შეშფოთებულები ვართ, რადგან მათ ასევე გააღრმავეს საქართველოს საზოგადოებაში პოლარიზაცია. ყოველივე ამის თქმის შემდეგ, ჩვენ ვრჩებით მოწოდებულები, ვიმუშაოთ საქართველოსთან რეფორმების შესასრულებლად, რომლებიც საჭიროა ევროატლანტიკური მიზნების მისაღწევად.**

**ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, აჩვენოს თავისი ერთგულება ევროკავშირში ინტეგრაციისადმი იმ რეფორმების გატარებით, რომლებიც აუცილებელია ამ გზაზე წინსვლისთვის“,** — განაცხადა ნედ პრაისმა.

# „ყველა პოზიციაში ვჯობნით უკრაინასა და მოლდოვას...



**ფაქტები არის ჯიუტი — თუ ამოვიღებთ ციფრებს საქართველოში რეფორმების კუთხით, მაგალითად, უკრაინასთან და მოლდოვასთან შედარებით, დავინახავთ, რომ საქართველო ყველა პოზიციაში არის დომინანტი და მოწინავე,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ალუდა ღუდუშაურმა განაცხადა, რითაც აშშ- ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის ნედ პრაისის განცხადებას გამოეხმაურა.

**„პასუხი მარტივი და მკაფიოა — დეპოლარიზაციას ორი მხარის მზაობა სჭირდება. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ქვეყნის ინტერესებსა და ქვეყნის ხვალინდელ მომავალს ეხება. ობიექტურმა საერთაშორისო პარტნიორებმა ძალიან კარგად დაინახეს, რომ ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს არ აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღების უნარი, რომ უარი თქვან ვიწრო პარტიულ ინტერესზე და ერთხელ მაინც წინა პლანზე ქვეყნის ინტერესები დააყენონ. წარმოუდგენელია, დეპოლარიზაცია ორივე მხარის გარეშე.**

**ფაქტები არის ჯიუტი, თუ ამოვიღებთ ციფრებს საქართველოში რეფორმების კუთხით, მაგალითად, უკრაინასთან და მოლდოვასთან შედარებით, დავინახავთ, რომ საქართველო ყველა პოზიციაში არის დომინანტი და მოწინავე. როცა უკუსვლაზე და ხალხის ნების საწინააღმდეგო მოქმედებაზე ვსაუბრობთ, ეს მგონია, რომ აზიანებს და ზოგადად საზოგადოება კარგად ხედავს, ვის აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ვინ გამოხატავს ხალხის ნებას. ხალხის ნება იზომება არჩევნებზე და ვერავინ ვერ დადგება ხალხის ნებაზე მაღლა. ნედ პრაისი რატომ გვაკრიტიკებს, ეს მას უნდა ჰკითხოთ“,** — განაცხადა ღუდუშაურმა.

# წვრთნები ალგეთის ბაზაზე დასრულდა



**ალგეთის საწვრთნელ ბაზაზე ამოცანაზე ორიენტირებული ოთხდღიანი სწავლება დასრულდა. წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის პირადი შემადგენლობისა და მასზე დაქვემდებარებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით სხვადასხვა ლოკაციაზე მიმდინარე სწავლებას თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე აკვირდებოდა.**

სამეთაურო-საშტაბო სწავლება შტაბების კოორდინირებულ მუშაობას, მუდმივ მზადყოფნასა და სტანდარტული სამოქმედო პროცედურების დახვეწას ისახავდა მიზნად. სიმულაციურ მართვის ცენტრში სხვადასხვა სცენარი გათამაშდა. სწავლების ფარგლებში დაცვისა და თავდაცვითი ოპერაციები, ასევე დაჭრილის ევაკუაცია განხორციელდა, რა დროსაც სამხედროებმა სიმულაციური და საიმიტაციო საშუალებები გამოიყენეს. სწავლებაში მოწინააღმდეგე მხარის როლს სამხედროებით დაკომპლექტებული ჯგუფი ასრულებდა.

# არადეკლარირებული ოქრო და მედიკამენტები „სარფს“ ვერ გადმოსცდა

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სარფში“, გამოავლინეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით, არადეკლარირებული სხვადასხვა სახის საქონლის შემოტანის ორი ფაქტი.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, აზერბაიჯანის მოქალაქემ, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში, საბაჟო კონტროლისგან მალულად, გადმოიტანა 15 762 ლარის ღირებულების 12 დასახელების მედიკამენტი, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქემ, თურქეთის რესპუბლიკიდან, მალულად გადმოიტანა დაახლოებით 56 000 ლარის ღირებულების ოქროს საიუველირო ნაკეთობები. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. ჩადენილი ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით.**

# 44 ტონა კარტოფილი ექსპორტიორ ქვეყანაში გააბრუნეს

**საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარიული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ყირგიზეთის რესპუბლიკიდან შემოტანილი 43 900 კგ. კარტოფილის შემოწმების შედეგად, პროდუქტში მცენარეთა სიჯანსაღისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა გამოვლინდა.**

**საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას დაექვემდებარა.**

# ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული



**26 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას დღესასწაულობს.**

ცნობილია, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული წელიწადში რამდენჯერმე აღინიშნება.

ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლების საშინელი ერესი მძვინვარებოდა იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში. იმპერატორის ბრძანებით იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ.

...ნიკეას მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს — იმპერატორის გამოგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ეს ხატი, ერთ-ერთმა მათგანმა „მახვილ სცა პირსა ხატისა“. მოხდა სასწაული: „ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ. ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ხატის წინაშე. დილით კი ღვთის განგებით მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა... წყალში ჩაშვებული წმიდა ხატი დასავლეთისაკენ გაემართა. მიმწუხრისას ათონის ივერთა მონასტრიდან ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი შენიშნეს, ის ხატს ადგა... მაგრამ, როცა ვინმე მიუახლოვდებოდა, ხატი ნაპირს შორდებოდა. მხოლოდ გაბრიელ ივერიელმა შეძლო ხატის ზღვიდან ამობრძანება. მონასტრის საკურთხეველში დაბრძანებული ხატი რამდენჯერმე გაუჩინარდა. ბოლოს ის კვლავ საკურთხეველში შეაბრძანეს. ივერიის ღვთისმშობლის ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

**გიული ლიპარტია**


# განცხადება

**სს „ელიტ ელექტრონიქსი“-ს რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული თანხის მისაღებად კრედიტორებმა:**

**1. ბორის მურადოვი, რუსეთი, ქ. მოსკოვი, სიტინსკის ჩიხი, სახლი 3;**

**2. ქოიუნჯულარ ინტერნეიშენალ ტრანსპორტი, თურქეთი;**

**3. შპს სიტი-ექსპრესი, ს/კ 208218695 (ყოფ. აპელსინი საქართველო).**

**უნდა მიმართონ ნოტარიუს მაია ბიგვავას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №26.**

**სს „ელიტ ელექტრონიქსი“-ს მიერ მათთვის გადასახდელი თანხა განთავსებულია ზემოაღნიშნული ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.**

**სს „ელიტ ელექტრონიქსი“**


# რა ხდება „ბიკენტიას საქაბაბეში“?

ქუთაისში შპს „ბიკენტიას საქაბაბეში“ ხორცის გადამამუშავებელ ფართში კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა, რის შედეგადაც კომპანიას საწარმოო საქმიანობა შეუჩერდა.




**„შეტყობინების საფუძველზე განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება შპს„ბიკენტიას საქაბაბეში“. ობიექტის ხორცის გადამამუშავებელ ფართში გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, რის საფუძველზეც, ამ კონკრეტულ ფართს შეუჩერდა საწარმოო პროცესი, კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.**

**რაც შეეხება სამზარეულოს ობიექტს, კრიტიკული შეუსაბამობები არ გამოვლენილა და აგრძელებს ფუნქციონირებას“,** — აცხადებს სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი.



# გასტროტური რაჭა-ლეჩხუმში

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით რაჭა-ლეჩხუმში გასტრონომიული ტური გაიმართა.**

ტურ-ოპერატორების, ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფებისგან შემდგარი 20-კაციანი ჯგუფი ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს ეწვია. ტურის მონაწილეებმა ჭრებალო და ღვირიში მოინახულეს. ჯგუფის წევრები ეწვივნენ ღვინის ქარხანას, სადაც რაჭული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ტურის ფარგლებში მოეწყო ადგილობრივი კერძების მასტერკლასი.

ტურ-ოპერატორებმა და მედიის წარმომადგენლებმა საოჯახო ეთნო-მუზეუმი დაათვალიერეს, მოინახულეს ღვირიშის ჩანჩქერი. გასტროტურის მიზანია ადგილობრივი სამზარეულოს წარმოჩინება, ადგილობრივი მეწარმეებისჰოჯახების ხელშეწყობა, შიდა და საერთაშორისო მოგზაურთა ნაკადის გაზრდა რეგიონში, აგრეთვე „გემო-ფესტისთვის“ მომზადებული ტურისტული ინფრასტრუქტურის, საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების პოპულარიზაცია.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, გასტროტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, პირველად რაჭაში, აგვისტოში „გემო ფესტი“ გაიმართა. პროექტის ფარგლებში ფესტივალი სხვა რეგიონებშიც გაიმართება.

# მთიან აჭარას საპიკნიკე ზონები შეემატა

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, ავთენტური და ეკოლოგიური მასალებით დამზადებული საპიკნიკეები ნაკონალვარის მთასა და კვესაური-ძველიმთის მიმდებარედ, ხარისაწოლზე მოეწყო, რაც მოგზაურებს საშუალებას აძლევს ღია სივრცეში, ავთენტურ გარემოში განიტვირთონ, დაისვენონ და ულამაზესი პანორამული ხედებით დატკბნენ.



**„საპიკნიკე ინფრასტრუქტურა საკოცონე სივრცეებს, ფანჩატურებს, საქანელებიან მოსასვენებელ სივრცეებსა და ფოტოსტენდებს მოიცავს. მსგავსი საპიკნიკე ზონები აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ 2020-2021 წლებში, ჩირუხის მთაზე, ჯვარიმინდორზე, სოფელ კაპნისთავსა და შუამთაზე მოაწყო. ჯვარიმინდორზე საპიკნიკე ზონასთან ერთად ტურისტული თავშესაფრები გაკეთდა, სადაც მოლაშქრეებს ღამისთევა და ულამაზეს გარემოში დროის გატარება შეუძლიათ. გარდა საპიკნიკე ინფრასტრუქტურისა, წელს სააგენტო ხიხანის ციხეზე ასავლელი ბილიკის პროექტსა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარებასა და პოპულარიზაციის კუთხით აგრძელებს მუშაობას“.**

# აფხაზებს ხაში მოეწონათ, საქართველოს დროშა კი... არა

**ოკუპირებულ აფხაზეთში, ქალაქ ბიჭვინთის ერთ-ერთ მაღაზიაში ხაშის კონსერვი ამოიღეს, რომელზედაც საქართველოს დროშა იყო დატანილი. ოკუპირებული აფხაზეთის „საბაჟო კომიტეტის“ ცნობით, პროდუქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე საბაჟო კანონმდებლობის დარღვევით შეიტანეს.**

ამასთან, ე.წ. პროკურატურა მოსახლეობას საქმის საფუძვლიანად გამოძიებას დაჰპირდა. საქმე გამოსაძიებლად, ოკუპირებული აფხაზეთის „საგამოძიებო და საბაჟო დეპარტამენტს“ გადაეცა.

**„შემოწმებისას 38 ქილა კონსერვი აღმოაჩინეს. სწორედ ხაშის კონსერვზე იყო დატანილი საქართველოს დროშა. ის აფხაზეთის ტერიტორიაზე საბაჟო კანონმდებლობის დარღვევით შემოიტანეს. კონტრაბანდისა და საბაჟო სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტმა ქალაქ ბიჭვინთაში ოპერატიული და პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესში სასურსათო მაღაზია უკვე შეამოწმა“...**




# მეფე ჩარლზი დედისგან მემკვიდრეობით მიღებულ ცხენებს ყიდის

გაერთიანებული სამეფოს მონარქი, დედოფალ ელისაბედ მეორის ვაჟი ჩარლზ მესამე დედისგან მემკვიდრეობით მიღებულ 14 სადოლე ცხენს ყიდის.



**„ამაში უჩვეულო არაფერია. ისინი ყოველწლიურად ჰყიდიან ცხენებს. დედოფალს თავისი ცხენები ჰყავდა, ამრავლებდა და ჰყიდდა, ყველას ვერ დაიტოვებ. დედოფლის ცხენების გაყიდვა სამეფო ოჯახის დოღთან კავშირის დასასრულს არ ნიშნავს“,** — ამბობს აუქციონის სახლის, Tattersal's-ის სპიკერი.

# ტურისტებმა გონდოლა მოიპარეს



**ვენეციაში დააკავეს ორი ფრანგი ტურისტი, რომელმაც გონდოლა მოიპარა. გონდოლას მეპატრონის თქმით, ნავის საფარი, ბალიშები, დეკორაციები და სხვა ნივთები ასობით დოლარის ღირებულებისაა. ქურდებმა ისინი არხში ჩაყარეს და ცურვა გააგრძელეს.**

ოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულები 30 წლამდე ასაკის კაცები არიან.

**„ისინი ბედნიერები ჩანდნენ, იცინოდნენ და ბოდიშიც არ მოუხდიათ. მე მსგავსი რამ არასდროს გამიკეთებია საფრანგეთში. ძალიან გაუმართლათ, რომ პოლიციამ ერთმანეთის პირისპირ არ დაგვტოვა, თორემ დიდი სიამოვნებით გავულაწუნებდი“,** — ამბობს გონდოლას მეპატრონე. გარდა იმისა, რომ დაკავებულებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ემუქრებათ, შესაძლოა, ზიანის ანაზღაურებაც დაევალოთ.

# ვირთხები ნანგრევებში ჩარჩენილებს ეძებენ...

**ბელგიურმა არაკომერციულმა კომპანია APOPO-მ შექმნა მიკროზურგჩანთა, რომელიც ვიდეოკამერით, მიკროფონითა და GPS-ითაა აღჭურვილი. მოწყობილობას ვირთხებზე დაამაგრებენ და ინოვაციური მეთოდით ეცდებიან მიწისძვრის ან სხვა შემთხვევათა გამო, ნანგრევებში მოყოლილი ადამიანები იპოვონ.**



როგორც პროექტის ავტორები ამბობენ, სიახლე მნიშვნელოვნად დაეხმარება სამძებრო და სამაშველო ჯგუფებს, რომლებიც ადამიანების გადარჩენას ცდილობენ. მკვლევარებს მღრღნელები ჯერ კიდევ ვარჯიშის ადრეულ ეტაპზე ჰყავთ. მათ შემდეგი ქცევის დასასწავლად წვრთნიან: ვირთხამ უნდა შეძლოს ოთახში ადამიანის პოვნა, დააწკაპუნოს ჟილეტის წინა ნაწილზე განთავსებულ სიგნალის ღილაკზე და დაბრუნდეს უკან, გაშვების ადგილისკენ იმ მოლოდინით, რომ წასახალისებლად, რაიმე სასუსნავით დაჯილდოვდება.




# საპროტესტო აქცია ბაქოში

**ბაქოში გამართული საპროტესტო აქციის დროს პოლიციამ 100-მდე ადამიანი დააკავა.**

**აქციის ორგანიზატორი აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი იყო. მიტინგის მონაწილეები მოითხოვდნენ თავისუფალი შეკრების უფლებას, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის გახსნას და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას.**

აქციაზე, რომელიც მთავრობის შენობასთან იმართებოდა, პოლიციამ პრაქტიკულად ყველა მისი მონაწილე დააკავა. საპროტესტო აქცია დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

პოლიციამ მასში მონაწილე ქალებიც დააკავა, რომლებიც საკმაოდ აქტიურად ყვიროდნენ საპროტესტო ლოზუნგებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 27 ოქტომბერს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7578; ევრო - 2.7076
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1174;
100 რუბლი - 4.4945; თურქული ლირა - 0.1482;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6267;
1000 სომხური დრამი - 6.8636.

**ამინდი 26 ოქტომბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +19 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3 | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge